

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი

თამარ ახვლედიანი

მწვავე ცერებრული ინფექციების კლინიკურ-დიაგნოზური პარადიგმები
საქართველოში დომინანტური ეტიოლოგიური სპექტრის მიხედვით

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რომან შაქარიშვილი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის
ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის
დეპარტამენტის სრული პროფესორი

თანახელმძღვანელი: თენგიზ ცერცვაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტის ინფექციური დაავადებების
და კლინიკური იმუნოლოგიის დეპარტამენტის
სრული პროფესორი



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

თბილისი, 2015

განსაკუთრებული მადლობა:

აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ნეიროეპიდემიოლოგს, ბატონ ჯეიმს სეივარს
გაწეული კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური კონსულტაციებისა და
რეკომენდაციებისათვის, ასევე კვლევის ორგანიზაციული მხარდაჭერისთვის;

აშშ სახმელეთო ძალების ინფექციურ დაავადებათა სამედიცინო კვლევითი
ინსტიტუტის ექიმ-ინფექციონისტს, პოლკოვნიკ რობერტ რივარდს, კვლევის
ორგანიზაციული და ფინანსური მხარდაჭერისთვის და კლინიკური
რეკომენდაციებისათვის;

ტექსტში გამოყენებული შემოკლებები

აივ - ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი

CDC – აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრები

დევეც - დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

EBV - ეპშტეინ-ბარის ვირუსი

HiB – *Haemophilus influenzae* ტიპი B

HSV-1 - მარტივი ჰერპესის ვირუსი-1

HSV-2 - მარტივი ჰერპესის ვირუსი-2

თზტს - თავ-ზურგტვინის სითხე

NAMRU-3 - აშშ საზღვაო ფლოტის სამედიცინო კვლევით განყოფილება #3

PCR - პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქცია

TBE - ტკიპისმიერი ენცეფალიტი

ცნს - ცენტრალური ნერვული სისტემა

USAMRIID - აშშ სახმელეთო ძალების ინფექციურ დაავადებათა სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტი

VZV - ვარიცელა ზოსტერის ვირუსი

WNV - დასავლეთ ნილოსის ვირუსი

WRAIR - ვოლტერ რიდის სახმელეთო ძალების კვლევითი ინსტიტუტი

შინაარსი

<i>ტექსტში გამოყენებული შემოკლებები</i>	<i>3</i>
<i>1.0 შესავალი</i>	<i>6</i>
1.1. თემის აქტუალობა	6
<i>2.0 მიზანი</i>	<i>8</i>
<i>3.0 ძირითადი ამოცანები</i>	<i>10</i>
<i>4.0 სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული ღირებულება</i>	<i>12</i>
<i>5.0 გამოქვეყნებული შრომები</i>	<i>13</i>
<i>6.0 ლიტერატურის მიმოხილვა</i>	<i>14</i>
6.1. ენტეროვირუსები და ცნს ინფექცია	19
6.2. ჰერპესვირუსები და ცნს ინფექცია	20
6.3. ყბაყურას ვირუსი და ცნს ინფექცია	23
6.4. არბოვირუსები და ცნს ინფექცია	25
6.5. ბაქტერიული მენინგიტი	28
<i>7.0 მასალა და მეთოდები</i>	<i>39</i>
7.1. საკვლევი პოპულაცია	39
7.2. კვლევის ეთიკური მხარე	42
7.3. კვლევის პროცედურები	43
7.4. თზტს ლაბორატორიული ტესტირება	45
7.5. მონაცემთა ბაზა და სტატისტიკური ანალიზი	49
<i>8.0. შედეგები</i>	<i>50</i>
8.1. დემოგრაფიული მონაცემები	50
8.2. კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები	51
8.3. კლინიკური დიაგნოზი	57
8.4. PCR და სეროლოგიური კვლევების შედეგები	62
8.4.1. სეროლოგიური კვლევები	63

<i>9.0 განხილვა</i>	<i>65</i>
<i>10.0 კვლევის ნაკლოვანი მხარეები</i>	<i>74</i>
<i>11.0 დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები</i>	<i>75</i>
<i>დასკვნა 1</i>	<i>75</i>
<i>12. 0. გამოყენებული ლიტერატურა:</i>	<i>79</i>
<i>დანართი 1. ინფორმირებული თანხმობის დოკუმენტი</i>	<i>91</i>
<i>დანართი 2: ინგლისურენოვანი რეზიუმე</i>	<i>99</i>
<i>დანართი 3. გამოქვეყნებული სტატიები:</i>	<i>111</i>

1.0 შესავალი

1.1. თემის აქტუალობა

ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) ინფექციები მთელ მსოფლიოში გავრცელებული და ახასიათებს მაღალი სიკვდილიანობა და ხანგრძლივი შრომისუნარობა (1). ამ ინფექციებით გამოწვეული ზიანის მიუხედავად, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ისინი კარგად არ არის აღწერილი. ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევათა დიდი ნაწილი გამოწვეულია *Haemophilus influenzae* ტიპი B (HiB), *Streptococcus pneumoniae*, ან *Neisseria meningitides*-ით. ამ ინფექციების ეტიოლოგიური განაწილება დამოკიდებულია გეოგრაფიულ მდებარეობაზე და პაციენტის ასაკობრივ ჯგუფზე. HiB უფრო ხშირად აღინიშნება ახალშობილებსა და 5 წლამდე ასაკის ბავშვებში. ამის საპირისპიროდ, *S. pneumoniae* პასუხისმგებელია ზრდასრულთა ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევათა უმრავლესობაზე (3,4). ამ პათოგენების ვაქცინების შემოსვლამ გავლენა მოახდინა ბაქტერიული მენინგიტის ეპიდემიოლოგიაზე განვითარებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით, HiB-თან ასოცირებულ მენინგიტზე (5). ამჟამად, *S. pneumoniae* და *N. meningitides* ჩრდილოეთ ამერიკაში და დასავლეთ ევროპაში ბაქტერიული მენინგიტის ყველაზე ხშირი მიზეზებია (6). განვითარებად და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ისტორიულად პრობლემურია HiB-ის და სხვა ბაქტერიული მენინგიტის საწინააღმდეგო ვაქცინების შეტანა, ვაქცინების მაღალი ფასის და ცნს ინფექციების ტვირთის შესახებ არასაკმარისი ინფორმაციის არსებობის გამო (7,8).

ვირუსული ცნს ინფექციები ნევროლოგიური დაავადების მნიშვნელოვანი ნაწილია და შეიძლება გამოვლინდეს მენინგიტის, ენცეფალიტის, და მიელიტის სახით, რომლებიც სხვადასხვა სიმპტომით შეიძლება მიმდინარეობდეს (9). ყველაზე ხშირად იდენტიფიცირებული ვირუსები, რომლებიც იწვევენ ცნს ინფექციებს არის ენტეროვირუსები, ჰერპესვირუსები და არბოვირუსები. ვირუსულ ცნს ინფექციებზე

ექვის დროს, ეტიოლოგიური ფაქტორის განსაზღვრა სირთულეებთან არის დაკავშირებული. შემთხვევათა უმრავლესობაში ეტიოლოგია უცნობია მრავალი დიაგნოსტიკური ტესტის ჩატარების შემდეგაც კი. თუმცა, ახალი მოლეკულური დიაგნოსტიკის მეთოდების შემოსვლასთან ერთად, სიტუაცია უმჯობესდება (10-12).

საქართველოში, არსებული შეზღუდული მონაცემების მიხედვით, ზემოთ ჩამოთვლილი სამი ძირითადი ბაქტერიული პათოგენი (HiB, *S. pneumoniae* და *N. meningitides*) ბაქტერიული მენინგიტის ძირითადი მიზეზებია (13). ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, HiB ვაქცინის შემოტანამდე, რუსეთში ბავშვთა ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევების 50% გამოწვეული იყო HiB-ით (14). სარწმუნო და ხელმისაწვდომი ლაბორატორიული დიაგნოსტიკის არარსებობის გამო, საქართველოში ძალიან ცოტაა დადასტურებული ვირუსული ცნს ინფექციების შემთხვევები. შესაბამისად, ბაქტერიული და ვირუსული მენინგიტების შეჭმარითი ინციდენტობა და ეტიოლოგია არ არის აღწერილი. რუტინულად, ექიმები ეყრდნობიან საკუთარ კლინიკურ გადაწყვეტილებას და გამოცდილებას და ამის მიხედვით ახდენენ დიფერენცირებას ბაქტერიულ მენინგიტსა და ვირუსულ მენინგიტს შორის. შესაბამისად, პაციენტების მკურნალობა ხდება ემპირიულად. ასეთმა კლინიკურ შეფასებაზე დაფუძნებულმა გადაწყვეტილებამ შეიძლება გამოიწვიოს მცდარი დიაგნოზის დასმა. ემპირიულად დანიშნულმა მკურნალობამ შეიძლება გამოიწვიოს ანტიბიოტიკების ჭარბი გამოყენება და ხელი შეუწყოს ანტიბიოტიკორეზისტენტობის განვითარებას.

ამ გარემოებების გათვალისწინებით გამოიკვეთა საქართველოში ცნს ინფექციების ეტიოლოგიური ფაქტორების შესწავლის საჭიროება.

2.0 კვლევის მიზანი

გლობალიზაციის საკაცობრიობო მასშტაბით აჩქარებული ტემპით პროგრესირების შედეგად, საყოველთაოდ შეიმჩნევა დღემდე ცნობილი ინფექციების, მათ შორის, ნეიროინფექციების სპექტრის, სტრუქტურისა და თანაფარდობის არსებითი ცვლილება. უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე საქართველოში მოსახლეობის მიგრაცია მკვეთრად გაიზარდა და ჩვენი ქვეყნისთვის უპრეცედენტო მასშტაბს მიაღწია. საქართველოს მოქალაქეები მოგზაურობენ მსოფლიოს ყველა კონტინენტზე, ასევე ჩვენს ქვეყანას სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნიდან. გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ ავტორიტეტულ უწყებათა წყაროების არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობის 30%-მდე, იძულებულია, ხანგრძლივად იცხოვროს როგორც რეზიდენტის სტატუსში, ისე ადგილგადანაცვლებული პირის რეჟიმში ქვეყნის ფარგლებს გარეთ ან ხანგრძლივი ინტერვალებით იცვლის საცხოვრებელ ადგილს სამშობლოსა და უცხო ქვეყნებს შორის. მათი უმრავლესობა ახალგაზრდა, შრომისუნარიანი ადამიანები არიან, რომელთა კვალიფიკაცია ძირითადად, შეუთავსებელია შრომითი რესურსების რეალიზაციის ადგილობრივ პრაქტიკასთან, რის გამოც საქართველოდან იმიგრანტთა ძირითადი მასა ხვდება ისეთ სოციალურ გარემოში, სადაც ადგილად წარმოიშობა ინფექციის მაღალი რისკის პოპულაცია. ამავე მიმართულებით მოქმედებს მიგრანტთა შორის დაბალი ბუნებრივი იმუნიტეტისა და ქრონიკული სტრესის შერწყმის ფაქტორი. ამავე დროს, საქართველოში დარჩენილ მოსახლეობაში იზრდება ბავშვებისა და მოხუცების ხვედრითი წილი, რომლითაც ფორმირდება ნეიროინფექციის სპეციფიკური რისკ-ჯგუფი.

გაზრდილ მიგრაციას თან ახლავს აქამდე არარსებული პათოგენების შემოტანის პოტენციალი. ამასთანავე, დამკვიდრდა ქვეყნისშიდა ეკოტურიზმის პრაქტიკა, რაც ნაკრძალების, კანიონების, ბუნებრივი წყალსაცავების და სხვა სან-ეპიდემიოლოგიურ უზრუნველყოფას მოკლებულ რეგიონებში ადამიანთა კონცენტრაციას გულისხმობს,

რის შედეგადაც სუბიექტს ექმნება იმის პირობები, რომ განიცადოს ექსპოზიცია ბუნებაში მოცირკულირე პათოგენებთან, მათ ვექტორებთან, ზოონოზების გამავრცელებელ ცხოველებთან.

მსოფლიოში ვირუსული და ბაქტერიული ნეიროინფექციების გამომწვევთა სპექტრის ამ ცვლილებაზე მუდმივი დაკვირვება და დინამიკაში შესწავლაა დაჭირო. საქართველოში ეს საკითხი დიდი ხანია, შეუსწავლელია. არსებობს სპეციალისტების გამოცდილებაზე დამყარებული ვარაუდები იმის შესახებ, თუ რომელ პათოგენებს აქვთ წამყვანი როლი საქართველოში მწვავე მენინგიტისა და ენცეფალიტის გამოწვევაში, მაგრამ ეს საკითხი სისტემატიზირებული სახით, კლინიკური კვლევის პირობებში აქამდე არასოდეს ყოფილა შესწავლილი. შესაბამისად, არ არსებობდა სარწმუნო ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით, გამოქვეყნებული და მთელი სამეცნიერო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. ზემოთხსენებული გლობალური ფაქტორების შედეგად მომხდარი ცვლილებების დასაფიქსირებლად და მათზე დასაკვირვებლად საჭიროა ბაზისური ინფორმაციის ქონა, რომელთანაც შედარდება ამჟამად მიმდინარე და მომავალში მომხდარი ცვლილებები.

ვხელმძღვანელობთ რა ზემოხსენებული მოსაზრებებით, აქტუალურად მიგვაჩნია კვლევის მიზნად დავსახოთ:

მიმდინარე პერიოდში საქართველოში მწვავე ცერებრული ინფექციების ნოზოგრაფიული კომპლექსის პარადიგმის სახეცვლილების შესწავლა დომინანტური აქტუალური ინფექციური პათოგენების შესაბამისად, რაც შექმნის პირობებს აღნიშნულ დაავადებათა სპექტრისადმი სადიაგნოზო-ეპიდემიოლოგიური, თერაპიული და პროგნოზული მენეჯმენტის განსაზღვრისათვის.

3.0 ძირითადი ამოცანები

აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის საჭიროდ მივიჩნით შემდეგი კვლევითი ამოცანების გადაწყვეტა:

1. ქალაქ თბილისის ნევროლოგიურ, ინფექციურ და მრავალპროფილიან ჰოსპიტალურ ბაზებში თავის ტვინის ანთებითი დაზიანების კლინიკური სურათით მოთავსებულ პაციენტთა შორის მწვავე ნეიროინფექციაზე ორიენტირებული დიაგნოზური სკრინინგი და შესაძლებელი გამომწვევი პათოგენების თანამედროვე ლაბორატორიული მეთოდებით განსაზღვრა.
2. საქართველოში ცნს ინფექციის მქონე პაციენტების კვლევის რეალური ლაბორატორიული შესაძლებლობების ოპტიმიზაცია - პრიორიტეტული მნიშვნელობის თანამედროვე ლაბორატორიული კვლევის მეთოდების შემოტანა კვლევის ფარგლებში და დანერგვა გრძელვადიან პერსპექტივაში. კონკრეტულ პათოგენზე ეჭვის და დაავადების კლინიკური მიმდინარეობის გათვალისწინებით, კვლევის მეთოდის სწორად შერჩევის პრაქტიკის დანერგვა.
3. ლაბორატორიული კვლევის შედეგების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული სირთულეების შესწავლა. მათ შორის, ახლადდანიერგილი მოლეკულური დიაგნოსტიკის მეთოდის პრაქტიკული ღირებულების, მოსალოდნელი ცრუ დადებითი და ცრუ უარყოფითი შედეგების შეფასება, ტესტირებასთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემების გამოვლენა და აღმოფხვრა.
4. კლინიკური დიაგნოზის ალგორითმის ოპტიმიზაცია ლაბორატორიულად პათოგენის იდენტიფიცირების გაზრდილი საშუალებების პირობებში.
5. კომორბიდული ინფექციების (როგორც ნეირო კოინფექციების, ისე სისტემური კოინფექციების) სიხშირის შეფასება მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის მქონე პაციენტებში. კლინიკური მიმდინარეობის და პროგნოზის თავისებურებების განსაზღვრა ასეთ შემთხვევებში.

6. კვლევაში მონაწილე პაციენტებში მენინგიტის და ენცეფალიტის გამომწვევ აგენტებთან ასოცირებული რისკ-ფაქტორების, კლინიკური გამოვლინებების და გამოსავლის შეფასება. თითოეული საკვლევი პათოგენით გამოწვეული დაავადების მიმდინარეობის და სიმძიმის შესწავლა-აღწერა.
7. მწვავე ნეიროინფექციების ეტიოლოგიური ფაქტორის შესაბამისად ქრონოლოგიური დიფერენცირებული ფაქტორების გავლენა მწვავე პერიოდის მიმდინარეობაზე და შორეულ შედეგების შეფასებაში.
8. დომინანტური აქტუალური პათოგენების ნეიროინფექციების მიმართ თერაპიულ კონიუნქტურაში ემპირიული და ეტიოტროპული სამკურნალო ალტერნატივების კრიტიკული ანალიზი.
9. 2010 წლის იანვარში დაწყებული Hib-ის საწინააღმდეგო საყოველთაო ვაქცინაციის შედეგებზე დაკვირვების წარმოება.
10. პოსტ-ჰოსპიტალური მკურნალობის და რეაბილიტაციის ტაქტიკური სქემის შესწავლა - რამდენად საჭიროა ან რეალურია ასეთი სქემის შემუშავება. რამდენად ხშირია რეციდივები და რა ფაქტორები განაპირობებს მათ.
11. მკაცრად სტანდარტიზებული კლინიკური კვლევის პირობებში, მწვავე მენინგიტისა და ენცეფალიტის გამომწვევთა ეტიოლოგიური სპექტრის შესწავლა ფებრილურ ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში, როგორც ტრადიციული ბაქტერიოლოგიური და სეროლოგიური მეთოდების, ისე თანამედროვე მოლეკულური დიაგნოსტიკის გამოყენებასთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

4.0 სამეცნიერო სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

მოპოვებული ინფორმაცია მნიშვნელოვანია საქართველოში ცნს ინფექციების სხვადასხვა გამომწვევების შედარებითი სიხშირის შესაფასებლად. ამ კვლევის შედეგები პირდაპირ იქნება გამოყენებული პაციენტების მკურნალობის (იმის განსაზღვრა, ბაქტერიული ინფექციაა თუ ვირუსული), დაავადების პრევენციის და კონტროლისთვის, ასევე სრულყოფილ მონაცემებს მიაწვდის ჯანდაცვის პოლიტიკის მუშაკებს ამ ინფექციების შედარებითი ტვირთის შესახებ. ამ კვლევის შედეგები გამოყენებული იქნება საქართველოში მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის ინფექციური მიზეზების დასადგენად, ასევე გამომწვევთა სპექტრის მიმდინარე და მოსალოდნელი ცვლილებების პირობებში, ეს არის სარწმუნო საბაზისო ინფორმაცია, რომელზეც შეიძლება დაეფუძნოს მომავალი კვლევები და რომელთანაც შეიძლება შედარდეს მომავალში ამ მიმართულებით შექმნილი სიტუაცია.

აღნიშნული კვლევა მნიშვნელოვანია საქართველოს მასშტაბით ცნს ინფექციების ეტიოლოგიური ფაქტორების შეფასების თვალსაზრისით. ეს არის პირველი კვლევა საქართველოში, რომელიც სტანდარტიზებულად ახდენს ტესტირებას ყველაზე მეტად მოსალოდნელ ვირუსულ და ბაქტერიულ პათოგენებზე იმუნოკომპეტენტურ პაციენტებში. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევამ საფუძველი ჩაუყარა მჭიდრო კოლაბორაციას მონაწილე დაწესებულებებს შორის, რომელიც იმედია, მომავალშიც გაგრძელდება.

5.0 გამოქვეყნებული შრომები

1. **Akhvlediani T**, Bautista CT, Shakarishvili R, Tsertsvadze T, Imnadze P, Tatishvili N, Davitashvili T, Samkharadze T, Chlikadze R, Dvali N, Dzigua L, Karchava M, Gatserelia L, Macharashvili N, Kvirkvilia N, Habashy EE, Farrell M, Rowlinson E, Sejvar J, Hepburn M, Pimentel G, Dueger E, House B, Rivard R. Etiologic agents of central nervous system infections among febrile hospitalized patients in the country of Georgia. PLoS One. 2014 Nov 4;9(11)
2. Dunning JW, Merson L, Rohde GG, Gao Z, Semple MG, Tran D, Gordon A, Olliaro PL, Khoo SH, Bruzzone R, Horby P, Cobb JP, Longuere KS, Kellam P, Nichol A, Brett S, Everett D, Walsh TS, Hien TT, Yu H, Zambon M, Ruiz-Palacios G, Lang T, **Akhvlediani T**; ISARIC Working Group 3, ISARIC Council, Hayden FG, Marshall J, Webb S, Angus DC, Shindo N, van der Werf S, Openshaw PJ, Farrar J, Carson G, Baillie JK. Open source clinical science for emerging infections. Lancet Infect Dis. 2014 Jan;14(1):8-9
3. **Akhvlediani T**, Clark DV, Chubabria G, Zenaishvili O, Hepburn MJ. The changing pattern of human brucellosis: clinical manifestations, epidemiology, and treatment outcomes over three decades in Georgia. BMC Infect Dis. 2010 Dec 9;10:346.
4. **Akhvlediani T**, Shakarishvili R, Tsertsvadze T. The role of imaging studies in CNS infections. Georgian Med News. 2008 Dec;(165):94-8.

6.0 ლიტერატურის მიმოხილვა

ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) ინფექციები შეიძლება გამოწვეული იყოს პათოგენების ფართო სპექტრით, რომელიც მოიცავს ვირუსებს, ბაქტერიებს, სოკოებს, პარაზიტებს და ინფექციურ ცილოვან ნაწილაკებს - პრიონებს. აღსანიშნავია, რომ იმუნოკომპეტენტურ და იმუნოკომპრომენტირებულ პაციენტებში ცნს ინფექციების გამომწვევების სპექტრი განსხვავებულია. ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით (აივ) გამოწვეულმა ინფექციამ, ასევე სხვა მიზეზით გამოწვეულმა იმუნოდეფიციტის მდგომარეობებმა საფუძველი დაუდო ცნს ინფექციების განსაკუთრებულ ჯგუფს, რომელიც მხოლოდ იმუნოდეფიციტის პირობებში გვხვდება.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში, მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული ცნს ინფექციების პათოგენების შესწავლის მიმართულებით. თავის ტვინის ვიზუალიზაციის და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ახალი მეთოდების შემოღებამ შესაძლებელი გახადა ამ დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა და მკურნალობა. მოლეკულური ბიოლოგიის საშუალებით ნათელი მოეფინა სხვადასხვა პათოგენის ნეიროვირულენტობის თავისებურებებს (15).

ცნს ინფექციების კლინიკური მიმდინარეობა შეიძლება იყოს მწვავე, ქვემწვავე ან პერსისტენტული, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ქრონიკულ, ლატენტურ და ნელ ინფექციებს. ინფექციის მიმდინარეობა დამოკიდებულია პათოგენზე, მის მდებარეობაზე და მასპინძლის იმუნურ სტატუსზე (16).

თავის ტვინი კარგად არის დაცული ფიზიკური ბარიერებით: თავის ქალით და მაგარი გარსით. თუმცა, ამის გამო, ანთების დროს ქსოვილების შეშუპება მძიმე გართულებებთან არის დაკავშირებული. კიდევ ერთი დამცავი საშუალება თავის ტვინისთვის არის ჰემატოენცეფალური ბარიერი, რომელიც კაპილარების კედლის

ენდოთელურ უჯრედებს შორის მჭიდრო შეერთებებით არის წარმოდგენილი, რაც ხელს უშლის ანთებითი უჯრედების, პათოგენების და მაკრომოლეკულების შესვლას სუბარაქნოიდულ სივრცეში. მეორეს მხრივ, თავის ტვინს აქვს რუდიმენტული ლიმფური სისტემა. მიკროგლიას და პერივასკულურ მაკროფაგებს ძირითადი ჰისტოშეთავსების კომპლექსის მოლეკულების გაცილებით ნაკლები ექსპრესია ახასიათებთ. ცნს-ში ნაკლებია მასპინძლის იმუნური სისტემისთვის ანტიგენის მაპრეზენტირებელი უნარი, რაც იმას განაპირობებს, რომ უკვე ცნს-ში შეღწეულ პათოგენს გადარჩენის უფრო დიდი შანსი აქვს (15).

გარკვეული პათოგენების მიერ ჰემატოენცეფალური ბარიერის გარღვევის მექანიზმი კარგად არ არის შესწავლილი. მაგალითად, ცოფის ვირუსი და მარტივი ჰერპესის ვირუსი პერიფერიულ ნერვებს მიყვება და ისე აღწევს ცნს-ს, ხოლო ინკაფსულირებული ბაქტერიები და სოკოები სისხლის გზით აღწევენ ცნს-ს და უჯრედის ზედაპირზე გააჩნიათ ისეთი კომპონენტები, რომლებიც კაპილარების მჭიდრო შეერთებებს შორის გაღწევის უნარს ანიჭებს მათ. ცნს-ის ბუნებრივი პარაზიტები (როგორცაა მაგ. *Naegleria fowleri*) ჯანმრთელი მასპინძლის ცნს-ში ინფილტრაციას ჰემატოენცეფალური ბარიერის ენდოთელურ უჯრედებზე ზემოქმედების გზით ახდენს. ოპორტუნისტული ცნს პარაზიტები (*Toxoplasma gondii*) აინფიცირებენ ცნს-ს იმუნოდეფიციტის მქონე პაციენტებში, რადგან მათი ორგანიზმი ვერ უმკლავდება ჰემატოენცეფალური ბარიერის ენდოთელურ უჯრედებში მიმდინარე ანთებით პროცესს, რის შედეგადაც იზრდება ბარიერის გამავლობა, დიდი მოლეკულები და პარაზიტები აღწევენ ბარიერში და შეიჭრებიან თავის ტვინში.

ცნს ინფექციები დაკავშირებულია ავადობისა და სიკვდილობის მაღალ მაჩვენებელთან. ამ პაციენტების გამოსავლის გასაუმჯობესებლად აუცილებელია სწრაფი დიაგნოსტიკა და გადაუდებელი ჩარევა. ცნს ინფექციების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა აუცილებელია ოპტიმალური მკურნალობისთვის. ლაბორატორიული ტესტების სწორად გამოყენებისა და შერჩევისათვის კი აუცილებელია კლინიკური და

ლაბორატორიული პერსონალის მჭიდრო ურთიერთკავშირი. თავ-ზურგტვინის სითხის (თზტს) დროული აღება და გამოკვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაძლევს. გარდა უჯრედების რაოდენობის განსაზღვრისა, თზტს იღებება გრამის წესით, სოკოების გამოსავლენად და ხდება მისი ბაქტერიოლოგიური, მიკოლოგიური და მიკობაქტერიული კვლევა. მეტიც, ვირუსული მენინგიტისა და ენცეფალიტის შემთხვევაში, დიაგნოზი შეიძლება დაისვას თზტს სეროლოგიით, ვირუსული დნმ მარკერებით და პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქციით (PCR). ქსოვილის გამოკვლევით დიაგნოზის დასმა დამოკიდებულია იმაზე, თუ სად არის ლოკალიზებული ინფექცია და რამდენად არის შესაძლებელი იმ ადგილის ბიოფსია. ჰისტოლოგია თითქმის ყოველთვის გვაძლევს მინიშნებას გამომწვევ ინფექციურ აგენტზე სპეციალური და იმუნოჰისტოქიმიური შედეგების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მოწოდებულია კონკრეტული ორგანიზმებისათვის. დიაგნოსტიკების შანსების გაზრდა შესაძლებელია PCR და სხვა მოლეკულური მეთოდების გამოყენებით.

გლობალიზაციის შედეგად, ადგილი აქვს წარსულში არსებული ინფექციური პათოლოგიების ხელახლა აღმოცენებას ისეთ გეოგრაფიულ არეალში, რომლისთვისაც აღნიშნული ინფექციები ადრე არ იყო დამახასიათებელი. გარდა ამისა, დაავადებების გამოვლინებები იცვლება და მათი დიაგნოსტიკა რთულდება კლინიცისტებისა და ლაბორატორიის სპეციალისტებისათვის. მათ შორის ბევრია ზოონოზური ინფექცია, მანამდე არსებული, ან ახლად აღმოცენებული, რომელიც გადალახავს სახეობრივ ბარიერს და აინფიცირებს ადამიანს. აღნიშნული უფრო ადვილად ხდება ისეთ სიტუაციაში, როცა შინაური ცხოველები და ადამიანი ერთმანეთთან მჭიდრო კონტაქტში არიან. ტყეების განადგურება იწვევს ცხოველების ადამიანის საცხოვრებელთან დაახლოებას. ახლად აღმოცენებული ნეიროინფექციის მაგალითია ნიჰა-ვირუსი, რომელმაც 1998 წელს მალაიზიაში ღორების ფერმაში მომუშავე ადამიანებში გამოიწვია მძიმე ენცეფალიტის აფეთქება. დაავადების გადაცემა ხდებოდა ღორის სეკრეტებთან კონტაქტით (17).

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენდა მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის ეტიოლოგიური ფაქტორების ძიება. ქვემოთ განვიხილავთ იმ პათოგენებით გამოწვეული ცნს ინფექციებს, რომლებზედაც ჩვენი კვლევა ჩატარდა.

ვირუსული მენინგიტი არის თავის ტვინის რბილი გარსების ანთება, როგორც ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციის გამოვლინება. ვირუსული მენინგიტი ხშირად მოიხსენიება, როგორც ასეპტიური მენინგიტი, მაგრამ ეს ტერმინი უფრო ფართო მცნებაა. ასეპტიური მენინგიტი არის დაავადება, რომელსაც ახასიათებს თავის ტვინის გარსების სეროზული ანთება, რასაც როგორც წესი, თან ახლავს მონონუკლეური პლეოციტოზი. ასეპტიური მენინგიტის სინდრომი არ არის გამოწვეული პიოგენური ბაქტერიით (18). მართალია, იგი ჩვეულებრივ ვირუსებითაა გამოწვეული, მისი მიზეზი შეიძლება სხვა ეტიოლოგიაც იყოს, როგორც ინფექციური, ისე არაინფექციური. მაგ. ბრუცელოზური მენინგიტი ასეპტიური მენინგიტია; ასევე არსებობს წამლისმიერი ასეპტიური მენინგიტი (19). ასე რომ, ტერმინი ასეპტიური მენინგიტი აღარ არის ვირუსული მენინგიტის ზუსტი სინონიმი, თუმცა ეს ორი ტერმინი ხშირად ერთმანეთის შემცვლელად გამოიყენება.

გაურთულებელი ვირუსული მენინგიტი, ჩვეულებრივ, თვითგანკურნებადია და სრული გამოჯანმრთელება 7-10 დღეში დგება. თუმცა, როცა ვირუსული ინფექცია რთულდება მენინგოენცეფალიტის ან მენინგომიელიტის სახით, მიმდინარეობა შეიძლება მნიშვნელოვნად გახანგრძლივდეს და დამძიმდეს (20).

ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით (მაგ. წელიწადის დრო, გეოგრაფიული არეალი, ექსპოზიცია მწერებთან, ადგილობრივ მოსახლეობაში გავრცელებული დაავადებები) და სისტემური გამოვლინებების მიხედვით შესაძლებელია სავარაუდო დიაგნოზის დასმა. თუმცა, მცირე გამონაკლისის გარდა, კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები, რომელიც მწვავე ვირუსული მენინგიტისთვის არის დამახასიათებელი, არასაკმარისად სპეციფიურია ეტიოლოგიური დიაგნოზის დასასმელად (20).

მკურნალობა დამოკიდებულია მიზეზზე. ვირუსული მენინგიტის შემთხვევათა უმრავლესობაში ფარმაკოლოგიური მკურნალობა არ არსებობს. ამ პაციენტებს დამხმარე თერაპია უტარდებათ, რაც მოიცავს ტკივილგამაყუჩებელ საშუალებებს, ლებინებისსაწინააღმდეგო პრეპარატებს, ინტრავენურ სითხეებს და გართულებების პრევენციას და მკურნალობას.

პოტენციურად, მენინგიტის გამომწვევ ყველა ვირუსს შეუძლია ენცეფალიტის გამოწვევაც. ტერმინი მწვავე ვირუსული ენცეფალიტი გულისხმობს მხოლოდ თავის ტვინის დაზიანებას, გარსების ჩართვის გარეშე, მაგრამ რეალურად ენცეფალიტის დროს მეტ-ნაკლებად ყოველთვის არის სახეზე გარსების დაზიანება. ენცეფალიტის განვითარებაში მნიშვნელობა აქვს მასპინძლის იმუნურ სტატუსს, სპეციფიურ ვირუსულ აგენტს და გენეტიკურ და გარემო ფაქტორებს (21,22). ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ წინასწარგანწყობა სხვადასხვა ფორმის ენცეფალიტის განვითარებისადმი (განსაკუთრებით ეს ეხება მარტივი ჰერპესის ვირუსით გამოწვეულ ენცეფალიტს) დაკავშირებულია გარკვეული გენეტიკური ცვლილებების არსებობასთან, კერძოდ: TLR-3 ინტერფერონის, აუტოსომურ-რეცესიული STAT-1-ის უკმარისობა და X-თან შეჭიდური NEMO-ს დეფიციტი (23).

6.1. ენტეროვირუსები და ცნს ინფექცია

ენტეროვირუსები მწვავე მენინგიტის ყველაზე ხშირი მიზეზია - 85%-ში მწვავე ვირუსული მენინგიტი ამ ვირუსებით არის გამოწვეული. ისინი მცირე ზომის უგარსო რნმ ვირუსებია, რომლებიც პიკორნავირუსების (*Picornaviridae* - (“pico” - პატარა, “rna” - რნმ) ოჯახს განეკუთვნება და მრავალი სეროტიპი გააჩნია. მენინგიტის გამოწვევა შეუძლია 50-ზე მეტ ქვეტიპს, მათ შორის ეკოვირუსებს, კოკსაკვირუს A და B-ს, პოლიოვირუსებს და ბევრ სხვა ენტეროვირუსს. არაპოლიო-ენტეროვირუსები ხშირად გვხვდება; ისინი ისეთივე გავრცელებულია, როგორც რინოვირუსები (რომლებიც გაციების ძირითადი გამომწვევეები არიან) (24).

ზოგიერთი ენტეროვირუსი (მაგ. კოკსაკვირუსი B5, ეკოვირუსი 6, 9 და 30) უფრო ხშირად მენინგიტის აფეთქებებს იწვევს, მაშინ როცა სხვები (კოკსაკი A9, B3 და B4) უფრო ენდემურობით ხასითდებიან (25,26).

ენტეროვირუსები მასპინძლის ორგანიზმში, ჩვეულებრივ, ფეკალურ-ორალური გზით შეიჭრებიან, მაგრამ შესაძლებელია რესპირატორული გზით გადაცემაც.

ენტეროვირუსები ზაფხულში და ადრე შემოდგომაზე ყველგან გვხვდებიან; მათი უნარი, გამოიწვიონ ინფექცია თბილ თვეებში არის ძირითადი ფაქტორი, რის გამოც ვირუსული მენინგიტი წელიწადის ამ დროს გვხვდება (24).

ენტეროვირუსები 70 და 71 ხასიათდებიან ძლიერი ნეიტროტროპიზმით და შეუძლიათ, მენინგიტის გარდა გამოიწვიონ მენინგოენცეფალიტი, პოლიომიელიტისმაგვარი პარალიზური სინდრომი და გიენ-ბარეს სინდრომი (27).

2014 წელს მაისის დასაწყისიდან საქართველოში დაიწყო ენტეროვირუსული მენინგიტის აფეთქება, პიკს მიაღწია მაისის მეორე ნახევარში. შემთხვევების მატება თავიდან თბილისში დაიწყო, მაისის მეორე ნახევრიდან შემთხვევები დარეგისტრირდა სხვა რეგიონებში, ხოლო ივლისიდან საქართველოს ყველა რეგიონში დაფიქსირდა. სხვადასხვა ლაბორატორიული ტესტით

იდენტიფიცირებული იყო ენტეროვირუსი, ხოლო ვირუსოლოგიური კვლევით დადგინდა ECHO-30, რომელიც ადრე საქართველოში დაავადებულებიდან გამოყოფილი არ ყოფილა. დაფიქსირდა 1100-ზე მეტი შემთხვევა. შემთხვევათა 80% მოდიოდა 3-15 წლის ასაკობრივ ჯგუფზე. ყველა შემთხვევაში დაავადების მიმდინარეობა იყო საშუალო და მსუბუქი სიმძიმის (28).

6.2. ჰერპესვირუსები და ცნს ინფექცია

ჰერპესვირუსები დიდი ზომის დნმ ვირუსებია. იდენტიფიცირებულია დაახლოებით 130 სხვადასხვა ჰერპესვირუსი. ადამიანისთვის პათოგენურია რვა მათგანი: მარტივი ჰერპესის ვირუსი-1 ანუ herpes labialis (HSV-1), HSV-2 ანუ გენიტალური ჰერპესი, ვარიცელა ზოსტერის ვირუსი (VZV, ანუ HHV-3), ეპშტეინ-ბარის ვირუსი (EBV ანუ HHV4), ციტომეგალოვირუსი (CMV ანუ HHV-5), HHV-6, HHV-7 და HHV-8. ყველა ჰერპესვირუსისთვის დამახასიათებელია ის, რომ მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ლატენტური ინფექცია. მაგალითად, HSV და VZV პერსისტირებს ნეირონულ განგლიებში, ხოლო EBV – B ლიმფოციტებში. ადამიანების ჰერპესვირუსების უმრავლესობა ნეიროტროპულია და იწვევს ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის მწვავე და ქრონიკულ დაავადებებს (29).

HSV-1-მა შეიძლება გამოწვიოს როგორც მენინგიტი, ისე ენცეფალიტი. ენცეფალიტის სიმპტომები მოიცავს ცხელებას, თავის ტკივილს, ლეთარგიას, გაღიზიანებას, ფოკალურ დეფიციტს, აფაზიას და გულყრებს. ფოკალური სიმპტომატიკა ასახავს ვირუსის რეპლიკაციას და თანმხლებ ანთებას საფეთქლის მედიალურ წილსა და შუბლის წილის ორბიტალურ ნაწილში. საფეთქლის წილის პროგრესირებადმა შემუპებამ შეიძლება გამოიწვიოს ჰერნიაცია თანმხლები დამახასიათებელი სიმპტომებით (ტაქიკარდია, ჰიპერვენტილაცია, დეკორტიკაციული და შემდეგ

დეცერებრაციული რიგიდობა, გუგის გაფართოება). გადარჩენილ პაციენტებში შეიძლება პერმანენტულად დარჩეს გულყრები, შეცვლილი მენტალური სტატუსი, აფაზია ან მოტორული დეფიციტი. აციკლოვირით მკურნალობის შემოსვლამდე HSV-1 ენცეფალიტის მქონე პაციენტების უმრავლესობა იღუპებოდა.

HSV-1 ენცეფალიტის დროს თზტს ჩვეულებრივ, პათოლოგიურია, პაციენტთა 90%-ში აღინიშნება პლეოციტოზი (მონონუკლეური პლეოციტოზი - საშუალოდ 200 უჯრედი/მმ³), მაგრამ მისი არარსებობა ენცეფალიტს არ გამორიცხავს. არჩევითი დიაგნოსტიკის მეთოდია თზტს-ში HSV-1-ის დნმ-ის აღმოჩენა PCR-ით (30), თუმცა დაავადების ადრეულ ეტაპზე შედეგი შეიძლება უარყოფითი იყოს (31).

პირველადი HSV-1 ინფექცია შეიძლება კანის ან ლორწოვანის დაზიანებით მიმდინარეობდეს, ან ასიმპტომური იყოს. ვირუსი რეპლიცირდება შეჭრის ადგილას, ჩვეულებრივ, პირის ღრუს ან გენიტალურ ლორწოვან გარსში, რასაც მივყავართ სენსორული ნერვების ინფიცირებასთან. შემდეგ ვირუსის ტრანსპორტირება ხდება რეგიონულ განგლიებში და იქ პერსისტირებს. მექანიზმი, რომლითაც HSV-1 აინფიცირებს ცნს-ს და იწვევს ენცეფალიტს, ბოლომდე გარკვეული არ არის. ვირუსის მიერ უპირატესად შუბლის წილის ორბიტალური ნაწილის და საფეთქლის მედიალური წილის დაზიანება მიუთითებს, რომ ვირუსი შეიძლება ვრცელდებოდეს ცხვირის ლორწოვანიდან დაცხრილული ფირფიტისა და ცხავის ძვლის გავლით წინა ფოსოში. ასევე შეიძლება ლატენტური ვირუსი ვრცელდებოდეს სამწვერა ნერვის განგლიიდან ტენტორიული ნერვების გავლით, რომლებიც აინერვირებენ წინა და შუა ფოსოებს (32, 33). ცნს-ის დაზიანების გარდა HSV-1 ხშირად არის ბელის დამბლის მიზეზი (34).

მკურნალობა წარმოებს ანტივირუსული პრეპარატით - აციკლოვირით. ჰერპეს-ენცეფალიტზე ეჭვის შემთხვევაში მოწოდებულია ემპირიული თერაპიის დაწყება აციკლოვირით დიაგნოზის დადასტურებამდე, რადგან ეს პრეპარატი ნაკლებად ტოქსიურია, გვიან დაწყებულმა მკურნალობამ კი შეიძლება დაავადების პროგნოზი

გააუარესოს. მკურნალობაში ასევე გამოიყენება ანტიკონვულსანტები და დიურეზული საშუალებები. მოზრდილებში სტანდარტული მკურნალობაა ინტრავენური აციკლოვირი 10 მგ/კგ სამჯერ დღეში 13-21 დღის განმავლობაში. ზოგჯერ სტეროიდებიც ინიშნება, მაგრამ მათი ეფექტურობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა (29).

HSV-2 იწვევს გენიტალურ ჰერპესს. მისი ნევროლოგიური გართულებები მოიცავს ასეპტიურ მენინგიტს, ენცეფალიტს და მორეციდივე რადიკულოპათიას. იმუნოკომპრომენტირებულ პაციენტებში HSV-2 ასევე იწვევს მიელიტს. HSV-2 ნეიროინფექციის მქონე პაციენტების დიდ ნაწილს ანამნეზში გენიტალური ჰერპესი არ აღენიშნებათ. HSV-2 ენცეფალიტი უფრო ხშირად ახალშობილებში გვხვდება, უფრო იშვიათია იმუნოდეფიციტის მქონე პაციენტებში. განსხვავებით HSV-1 ინფექციისთვის დამახასიათებელი ფოკალური დაზიანებებისგან, HSV-2 ენცეფალიტი დიფუზურია (35). მკურნალობა იგივეა, რაც HSV-1 ინფექციის დროს.

VZV იწვევს ჩუტყვავილას (ვარიცელა), რის შემდეგაც ვირუსი ლატენტურ მდგომარეობაში რჩება კრანიალურ ნერვებში, დორზალურ ფესვებსა და ავტონომიური ნერვული სისტემის განგლიებში. ათწლეულების შემდეგ, მანჰინძლის დაქვეითებული VZV-სპეციფიური იმუნიტეტი იწვევს ვირუსის რეაქტივაციას, რაც ჰერპეს-ზოსტერის მიზეზი ხდება (შემომსარტყველელი ლიქენი), რომელსაც ახასიათებს ტკივილი და გამონაყარი 1-3 დერმატომის ზონაში და რომელსაც ხშირად მოყვება პოსტჰერპესული ნევრალგია (36, 37, 38).

ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ VZV-ს რეაქტივაციით გამოწვეული ცნს-ის გართულებები უფრო ხშირია, ვიდრე აქამდე ეგონათ (39). ენტეროვირუსისა და HSV-2-ის შემდეგ, VZV ვირუსული მენინგიტის ყველაზე ხშირი მიზეზია. მისი სიხშირე 5-დან 29%-მდეა (40-42). VZV-მ შეიძლება ასევე გამოწვიოს ენცეფალიტი. დიფერენცირება VZV და HSV ინფექციებს შორის, თუ ინფექციას წინ არ უსწრებს ტიპიური გამონაყარი, ძალიან რთულია მხოლოდ კლინიკური გამოვლინებების

საფუძველზე (43). მოლეკულური დიაგნოსტიკის მეთოდების შემოღების შემდეგ გაიზარდა VZV-ით გამოწვეული მენინგიტისა და ენცეფალიტის სიხშირე (44).

EBV ინფექცია ხშირი და მსუბუქად მიმდინარე ვირუსული დაავადებაა ბავშვებში - ინფექციური მონონუკლეოზის სახით. ზოგიერთ შემთხვევაში იგი ცნს-ის სხვადასხვა დაზიანებით გამოვლინდება, როგორცაა მენინგოენცეფალიტი, ცერებრიტი, განივი მიელიტი, ნეიროფსიატრიული სინდრომი, გიენ-ბარეს სინდრომი და კრანიალური ნერვების დამბლა (45). მენინგიტი და ენცეფალიტი ამ გართულებებს შორის ყველაზე ხშირია (46). ენცეფალიტის დროს სიმპტომებია შეცვლილი ცნობიერება, მენინგეალური ნიშნები, ბულბური, ნათხემის სიმპტომები და კრანიალური ნერვების დამბლა (47).

6.3. ყბაყურას ვირუსი და ცნს ინფექცია

პარამიქსოვირუსების ოჯახის წარმომადგენელი, ყბაყურას ვირუსი მენინგიტის და ენცეფალიტის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ხნის მანძილზე ცნობილი მიზეზია (48).

ვაქცინაციის ეპოქაში, ყბაყურას ინციდენტობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული და 100,000 პოპულაციაში 1 შემთხვევაა მაგ. აშშ-ში.

მიუხედავად ამისა, აფეთქებები ხდება ვაქცინირებულ პოპულაციაშიც, მათ შორის დიდი ეპიდემია მოხდა გაერთიანებულ სამეფოში, რომელმაც პიკს მიაღწია 2005 წელს. რამდენიმე აფეთქება იყო ამერიკის ცენტრალურ-დასავლეთ ნაწილში 2006 წელს (49, 50). ამასთანავე, ყბაყურა ჯერ კიდევ არის მენინგიტის და მენინგოენცეფალიტის მიზეზი შემთხვევათა 10-20%-ში ისეთ გეოგრაფიულ არეალში, სადაც ვაქცინა ადვილად ხელმისაწვდომი არ არის.

16-21 წლის ასაკის მამაკაცები ინფექციის განვითარების უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან. თანაფარდობა მამაკაცი/ქალს შორის 3:1-ზეა.

შემთხვევათა კლასტერები აღინიშნება სკოლებსა და კოლეჯებში ზამთრის თვეებში.

თანმხლები პაროტიტი კლინიკური დიაგნოზის დასმაში გვხვდება, მაგრამ ცნს-ის ინფექციის შემთხვევათა ნახევარში ეს სიმპტომი არ გვხვდება.

12 000 არავაქცინირებული ბავშვის კოჰორტულმა კვლევამ ჩრდილოეთ ფინეთში გამოავლინა, რომ ყბაყურას მენინგოენცეფალიტი ყველა ვირუსული ცნს ინფექციის 40.9%-ის მიზეზი იყო. ასევე ინგლისსა და იაპონიაში ყბაყურა ასეპტიური მენინგიტის მნიშვნელოვანი მიზეზია (51).

2003 წელს, ასეპტიური მენინგიტის ეპიდემიამ წითელა-წითურა-ყბაყურა (MMR) ვაქცინაციის შემდეგ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (მათ შორის, ბრაზილია და გაერთიანებული სამეფო), საფუძველი ჩაუყარა ვაქცინების უსაფრთხოების გლობალური საკონსულტაციო კომიტეტის შექმნას და მის მიერ ვაქცინებით გამოწვეული ყბაყურა მენინგიტების შესწავლას (52). ამავე დროს, კომიტეტმა განაცხადა, რომ ყბაყურის ვაქცინის ზოგიერთი შტამები (ურაბე, ლენინგრად-ზაგრები და ლენინგრადი-3 შტამები) პოსტვაქცინური ასეპტიური მენინგიტის უფრო მაღალ ინციდენტობასთან იყვნენ დაკავშირებული.

2006 წელს, კომიტეტმა დაასკვნა, რომ საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგი და საჭირო იყო შემდგომი კვლევების წარმოება (53). და მაინც, ვაქცინაში ყბაყურას კომპონენტები შეიცვალა და მთელ მსოფლიოში მოხდა ვაქცინების განახლება.

კლინიკურად ყბაყურასმიერი ცნს ინფექციის გარჩევა სხვა ვირუსული ინფექციისგან რთულია. საქართველოში არასოდეს შესწავლილა ამ ინფექციის ინციდენტობა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ არ იყო ხელმისაწვდომი მოლეკულური დიაგნოსტიკის მეთოდი, რომელიც არჩევის მეთოდია ამ შემთხვევაში.

6.4. არბოვირუსები და ცნს ინფექცია

არბოვირუსები შედგება სხვადასხვა ოჯახის 500-ზე მეტი ვირუსისაგან. მათი საერთო სახელწოდება „არ-ბო“ ანუ arthropod-borne ნიშნავს ფეხსახსრიანებით გადამდებს. კერძოდ ეს არის სისხლისმწოველი მწერები - კოლოები ან ტკიპები.

რადგან ვექტორთან ექსპოზიზია აუცილებელია ვირუსის გადაცემისთვის, ინფექციის სიხშირე მაქსიმალურია ზაფხულში და ადრეულ შემოდგომაზე.

ყველაზე ხშირი კლინიკური გამოვლინებაა მენინგოენცეფალიტი და არა სუფთა მენინგიტი.

გულყრები არბოვირუსული მენინგიტის დროს უფრო ხშირია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ჯგუფის ვირუსებით გამოწვეული მენინგიტის დროს.

ზოგიერთი არბოვირუსი არჩევითად აავადებს გარკვეული ასაკობრივი ჯგუფის ადამიანებს.

არბოვირუსებიდან მსოფლიოში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს დასავლეთ ნილოსის ვირუსი (WNV) - ფლავივირუსი, რომელიც ადამიანს ძირითადად კოლოს ნაკბენით გადაეცემა. ეს ვირუსი ამერიკაში 1999 წელს გამოჩნდა და სწრაფად გახდა ეპიდემიის მიზეზი 2002 წელს, 4000-ზე მეტი შეტყობინებული შემთხვევით. 2008 წელს 1356 შემთხვევა დაფიქსირდა (54). დასავლეთ ნილოსის ვირუსით გამოწვეული ინფექცია ხშირად ასიმპტომურია ან ვლინდება როგორც მსუბუქი დაავადება არასპეციფიური ცხელებით, მიალგიით, და დაღლილობით. თუმცა, 150 შემთხვევიდან ერთში ვითარდება მძიმე დაავადება ნერვული სისტემის ჩართვით. ამასთან, ენცეფალიტი უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე მენინგიტი. ნეიროინვაზიური დაავადება უფრო ხშირად აღინიშნება ასაკოვან პაციენტებში.

საქართველოში WNV დაფიქსირებული არ არის. თუმცა, ფიქსირდება რუსეთში (55), რუმინეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში (56). ახლახან რუსულენოვან ლიტერატურაში

გამოქვეყნებულ სტატიაში WNV მითითებულია, როგორც ერთ-ერთი შესაძლო ახლად აღმოცენებული ინფექცია აფხაზეთში (57). თუმცა, ეს მოსაზრება რამდენად სანდო კვლევებს ეფუძნება, უცნობია.

ჩვენს გეოგრაფიულ არეალში ერთ-ერთი საინტერესო და აქტუალური არბოვირუსებიდან არის კიდევ ერთი ფლავივირუსი - ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსი. ვირუსის გადაცემა ძირითადად ტკიპის ნაკბენიდან ხდება, თუმცა შესაძლებელია გადაცემა არაპასტერიზებული რძის მიღების შედეგადაც. ვირუსის გადამტანია *Ixodes ricinus* და *Ixodes persulcatus* (61). საინტერესოა, რომ საქართველოში *ixodes ricinus* 67 სხვადასხვა ადგილას არის აღმოჩენილი (62). ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში დაავადების ინციდენტობა იზრდება ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანაში. ევროპასა და აზიაში წელიწადში 10 000-15 000 შემთხვევის შეტყობინება ხდება (58). დაავადება ენდემურია ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, ევროპის 27 ქვეყანაში, მათ შორის, ავსტრიაში, სლოვენიაში, ესტონეთსა და ლატვიაში (63). შემთხვევათა უმრავლესობა ტკიპების აქტიურობის პერიოდში აღინიშნება, ცენტრალურ ევროპაში ეს არის აპრილიდან ნოემბრამდე პერიოდი (59-61). ტკიპისმიერი ენცეფალიტი უფრო ხშირია ზრდასრულებში, უფრო საშუალო ასაკს გადაცილებულებში, ვიდრე ბავშვებში. დაავადების კლინიკური სპექტრი მოიცავს მდგომარეობებს მსუბუქი მენინგიტიდან მძიმე მენინგოენცეფალიტამდე, დამბლით ან მის გარეშე. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში ინფექცია უსიმპტომოდ ჩაივლის (70-98%-ში). ინკუბაციური პერიოდი 7-14 დღეა ტკიპის ნაკბენის შემთხვევაში და რამდენიმე დღე - ალიმენტარული გზით ინფიცირების შემთხვევაში (64). იშვიათი კლინიკური გამოვლინებებია დაავადების აბორტული ფორმა და ქრონიკული მოპროგრესირე ფორმა. პოსტ-ენცეფალიტური სინდრომი, რომელიც იწვევს ხანგრძლივ ავადობას და აქვეითებს სიცოცხლის ხარისხს, ვითარდება მწვავე ტკიპისმიერი ენცეფალიტის გადატანის შემდეგ პაციენტთა 50%-ში. დაავადებას აქვს ორფაზიანი მიმდინარეობა: საწყისი ფაზა ემთხვევა ვირუსემიის პერიოდს, არასპეციფიური სიმპტომებით (ცხელება, თავის ტკივილი, ართრალგია, მიალგია)

ხასიათდება და 2-7 დღე გრძელდება. ამას მოჰყვება გაუმჯობესება და შემდეგ დგება მეორე ფაზა: მოზრდილი პაციენტების 50%-ში ეს არის მენინგიტი, 40%-ში - მენინგოენცეფალიტი, და 10%-ში მენინგოენცეფალომიელიტი (59). კლინიკური მიმდინარეობა და გამოსავალი დამოკიდებულია ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსის ქვეტიპზე (ევროპული ქვეტიპით გამოწვეული დაავადება უფრო მსუბუქი მიმდინარეობით ხასიათდება, ვიდრე დაავადება გამოწვეული ციმბირული და შორეული აღმოსავლეთის ქვეტიპებით), პაციენტის ასაკზე (რაც უფრო ასაკოვანია პაციენტი, მით უარესია პროგნოზი) და მასპინძლის გენეტიკურ ფაქტორებზე. რადგან კლინიკური ნიშნები და სისხლის და თზტს-ის ლაბორატორიული ტესტები არასპეციფიურია, დიაგნოზი უნდა დადასტურდეს მიკრობიოლოგიური კვლევით. რუტინულად, ტკიპისმიერი ენცეფალიტის ლაბორატორიული კონფირმაცია ხდება ენზიმური იმუნოსორბენტული ანალიზით IgM და IgG ანტისხეულების აღმოჩენით შრატში და თზტს-ში. თზტს-ში PCR კვლევით ვირუსი არ აღმოჩნდება, რადგან მენინგიტის და ენცეფალიტის გამოვლენისას, ანუ დაავადების მეორე ფაზაში, ვირუსი სისხლში და თზტს-ში აღარ არის (65). ტკიპისმიერი ენცეფალიტის სპეციფიური ანტივირუსული მკურნალობა არ არსებობს. ვაქცინაციას შეუძლია დაავადების ეფექტური პრევენცია და ნაჩვენებია ადამიანებში, რომლებიც ცხოვრობენ ან სტუმრობენ ტკიპისმიერი ენცეფალიტის ენდემურ კერებს. საქართველოში ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსით გამოწვეული დაავადებების არსებობა მოსალოდნელია, მაგრამ აქამდე დაფიქსირებული არ არის.

არსებობს სხვა არბოვირუსებიც, მათ შორის, სენტ ლუისის ენცეფალიტის ვირუსი, იაპონური ენცეფალიტის ვირუსი და ა.შ., რომლებიც შესაბამის გეოგრაფიულ არეალში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენენ, მაგრამ საქართველოში გავრცელებული არ არის.

ახლად აღმოცენებულ არბოვირუსებს შორის უნდა განვიხილოთ ტოსკანის ვირუსი, რომელიც ბუნიავირიდეს ოჯახის წარმომადგენელია და კოლოთი გადაეცემა.

მიჩნეულია, რომ ეს ვირუსი 2000 წლიდან ფართოდ გავრცელდა ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, მათ შორის, საბერძნეთში და თურქეთში. თბილ თვეებში ტოსკანის ვირუსი მენინგიტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს თავისი გავრცელების არეალში, ენტეროვირუსის და ჰერპესვირუსების შემდეგ. საინტერესოა ამ ვირუსის საქართველოში გავრცელების საკითხი და მისი როლი ნეიროინფექციაში.

6.5. ბაქტერიული მენინგიტი

მწვავე ბაქტერიული მენინგიტი მძიმე და პოტენციურად სიცოცხლისათვის საშიში დაავადებაა, რომელიც დაახლოებით ათჯერ უფრო ხშირია განვითარებად ქვეყნებში და მკურნალობის გარეშე თითქმის ყოველთვის ფატალურად მთავრდება (67, 68). პროგნოზი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწრაფად დაიწყება ანტიბიოტიკოთერაპია (69). დამატებითი პროგნოზული ფაქტორებია მალნუტრიცია, ანტიბიოტიკორეზისტენტობა, აივ ინფექცია. ვაქცინაციის შემოღებამდე, ბაქტერიული მენინგიტის ყველაზე ხშირი მიზეზი იყო სამი ბაქტერია: *Haemophilus influenzae* ტიპი B (HiB), *neisseria meningitidis* და *streptococcus pneumoniae*. ეფექტური იმუნიზაციის შემოღებამდე, ეს სამი ბაქტერია მენინგიტის შემთხვევათა 80%-ზე მეტს იწვევდა ინდუსტრიულ ქვეყნებში (70).

ყველაზე მნიშვნელოვანი მკურნალობაში არის ანტიმიკრობული მკურნალობის დროული დაწყება, რადგან მკურნალობის ნებისმიერი დაგვიანება დაკავშირებულია გაზრდილ ავადობასა და სიკვდილიანობასთან. ბაქტერიული მენინგიტის მქონე 6 კვირაზე დიდ და 6 წელზე ნაკლები ასაკის მქონე პაციენტებში მკურნალობა უნდა დაიწყოს ცეფოტაქსიმით ან ცეფტრიაქსონით. დამატებითი ანტი-ანთებითი მკურნალობის შესახებ არაერთგვაროვანი აზრი არსებობს.

Haemophilus influenzae ტიპი B (HiB)-თ გამოწვეული ცნს ინფექცია: იმ ქვეყნებში, სადაც Hib-ის საწინააღმდეგო იმუნიზაცია ეფექტურად ხორციელდება, Hib მენინგიტის ინციდენტობა (ასევე Hib-თან ასოცირებული სეფსისი და პნევმონია) 87-90%-ით არის შემცირებული (70).

Haemophilus-ის სახეობები მცირე ზომის, პლემორფული, გრამ-უარყოფითი აერობული ან ფაკულტატური ანაერობული კოკობაცილებია. ადამიანი ერთადერთი მასპინძელია. არსებობს *Haemophilus*-ის ინკაფსულირებული და არაინკაფსულირებული შტამები. ინკაფსულირებულ შტამებს შორის, Hib ყველაზე ვირულენტურია. *Haemophilus* ინფექციების უმრავლესობა ინკაფსულირებული შტამებით, კონკრეტულად Hib-ით არის გამოწვეული. არაინკაფსულირებული შტამები ძალიან იშვიათად იწვევს ბაქტერიემიას, მაგრამ შეუძლიათ სისტემური ინფექციის გამოწვევა ცერებროსპინალური სითხის შუნტის არსებობის, ჰემატოენცეფალური ბარიერის პოსტტრავმული დაზიანების, ცენტრალური ნერვული სისტემის იმპლანტების არსებობის შემთხვევაში (71).

ეფექტური იმუნიზაციის შემოღებამდე, Hib მსოფლიოში წელიწადში იწვევდა 2.2 მილიონ შემთხვევას მათ შორის 300,000-400,000 სიკვდილის შემთხვევას. არაიმუნიზებულ პოპულაციაში, Hib 5 წლამდე ბავშვებში მენინგიტის ყველაზე ხშირი მიზეზია (73). 5 წლამდე ასაკის ბავშვებში Hib მენინგიტის წლიური ინციდენტობა ავსტრიაში არის 9 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე, ესპანეთში - 6 შემთხვევა 100,000 მოსახლეზე (74), რუმინეთში - 8 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე (75), ხოლო საბერძნეთში - 8 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე. ირანში, იორდანია და უზბეკეთში ვაქცინაციამდე დაფიქსირებული ინციდენტობა იყო 15 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე (76). ვაქცინაცია მეტად ეფექტური აღმოჩნდა. მაგ. გამბიაში ვაქცინაციამდე ინციდენტობა იყო 60 შემთხვევა 100 000 მოსახლეზე და ჩამოვიდა 0-ზე (77).

მსოფლიოში Hib მენინგიტის შემთხვევათა 95% 1 წლამდე ბავშვებში აღინიშნება (72). Hib მენინგიტს ახასიათებს ბიმოდალური სეზონურობა - პირველი პიკი აღინიშნება ივნისში, ხოლო მეორე - სექტემბერ-ოქტომბერში. ეს სეზონური პატერნი განსხვავდება დანარჩენი ორი ძირითადი ბაქტერიული პათოგენისგან - *N. meningitidis* და *S. pneumoniae*, რომლებიც ძირითადად, ზამთრის თვეებში იწვევენ მენინგიტს (77).

Hib მენინგიტით გამოწვეული სიკვდილობა 15-20%-მდეა და უფრო მაღალია 2 თვემდე ასაკის ბავშვებში (72). მნიშვნელოვანია რეზისტენტული შტამების პრობლემა, რაც დაახლოებით 3-ჯერ ზრდის ინციდენტობის მაჩვენებელს (77).

Hib მენინგიტის დროს შერჩევის პრეპარატი ბავშვებში, რომელთა ასაკი 6 კვირაზე მეტი და 6 წელზე ნაკლებია, არის მესამე თაობის ცეფალოსპორინები (ცეფოტაქსიმი ან ცეფტრიაქსონი), ინტრავენურად (78).

საინტერესოა დამოკიდებულება დამატებით კორტიკოსტეროიდულ თერაპიასთან. ექსპერიმენტულმა და პათანატომიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ მასპინძლის იმუნური პასუხი ბაქტერიის ლიზისის კომპონენტებზე და სხვა ეპიტოპებზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბაქტერიული მენინგიტის პათოგენეზზე. გარდა ამისა, ექსპერიმენტულმა კვლევებმა აჩვენა, რომ კორტიკოსტეროიდები შეიძლება მნიშვნელოვნად ამცირებდნენ მენინგიტის მქონე ინდივიდებში ნევროლოგიური ნარჩენი მოვლენების პრევალენტობას (77).

კლინიკური კვლევების უმრავლესობაში, მეტა ანალიზის ჩათვლით, ნაჩვენებია, რომ დექსამეტაზონის ადრეული გამოყენება დაკავშირებულია უკეთეს გამოსავალთან, განსაკუთრებით სმენის დაკარგვის თავიდან აცილების თვალსაზრისით. ბოლო ორი კვლევა, რომლებიც ამასთან დაკავშირებით ჩატარდა, ერთმანეთთან კორელაციაში არ იყო. ერთი იყო რეტროსპექტული კვლევა, რომელშიც სტეროიდებით ნამკურნალები ბავშვები უფრო მძიმე პაციენტები იყვნენ და ხელოვნური ვენტილაცია დასჭირდათ

მკურნალობის პროცესში. მეორე კვლევა იყო პროსპექტული კვლევა მალავიდან და ბავშვებს შორის სქარბობდნენ აივ-ინფიცირებულები. ორივე კვლევამ ხაზგასმით აჩვენა ორი მნიშვნელოვანი დეტალი: (1) სტეროიდების ადრეული შეყვანა (ანტიბიოტიკების პირველ დოზამდე ან მასთან ერთად) ეფექტურია და (2) სტეროიდების გამოყენებას მძიმე ნევროლოგიური დეფიციტის განვითარების შემდეგ მნიშვნელოვანი სარგებელი არ აქვს. რეკომენდებული დოზა არის 0.15 მგ/კგ, ყოველ 6 საათში პირველი ორი დღის განმავლობაში (79).


Hib მენინგიტის ზოგიერთი ნარჩენი მოვლენა გარდამავალია; სხვები იწვევენ ქრონიკულ ან პერმანენტულ პრობლემებს. მიუხედავად ადექვატური მკურნალობისა, 20-40%-ში ბავშვს შეიძლება მუდმივი ნარჩენი მოვლენა აღენიშნოს. ზოგიერთი კვლევა გვიჩვენებს, რომ დეფიციტი რჩება გადარჩენილთა 50%-ში. მუდმივი დეფიციტი უფრო ხშირია მკურნალობის დაგვიანებით დაწყებისას და ნაკლებად ეფექტური ანტიბიოტიკებით მკურნალობისას. ნარჩენი მოვლენები შემდეგია: გულყრები და ეპილეფსია, სმენის დაქვეითება, კრანიალური ნერვების დეფიციტი, ატაქსია, ჰემიპარეზი, კოგნიტიური და ქცევითი დარღვევები.

Neisseria meningitides-ით გამოწვეული ცნს ინფექცია: პაციენტების უმრავლესობა, რომლებსაც აქვთ მენინგოკოკური მენინგიტი, რომელიც გრამ-უარყოფითი დიპლოკოკით, *Neisseria meningitidis*-ით არის გამოწვეული, სრულიად გამოჯანმრთელდება, თუ შესაბამისი ანტიბიოტიკოთერაპია სწრაფად იქნება დაწყებული. ამის მიუხედავად, დაავადება ასოცირებულია მნიშვნელოვან სიკვდილიანობასთან და პერსისტენტულ ნევროლოგიურ დეფიციტთან, განსაკუთრებით ახალშობილებში და ბავშვებში (80).

მენინგოკოკებს მრავალი სეროჯგუფი გააჩნიათ. ევროპასა და ამერიკაში მენინგოკოკური დაავადების გამოწვევი ძირითადი აგენტი არის სეროჯგუფი B, რომელსაც სიხშირით მოჰყვება სეროჯგუფი C. ისტორიულად, სეროჯგუფი A იყო ეპიდემიური მენინგოკოკური დაავადების ძირითადი მიზეზი და აფრიკასა და

აზიაში კვლავ რჩება მენინგოკოკური მენინგიტის ძირითად მიზეზად (81). აფრიკაში, „მენინგიტის სარტყელში“ (სავანის რეგიონი რომელიც გადაჭიმულია აღმოსავლეთით ეთიოპიიდან დასავლეთით სენეგალამდე), ეს დაავადება ხშირად აღინიშნება ეპიდემიების სახით ცხელი და მშრალი სეზონის დროს (დეკემბრიდან მარტამდე) (82).

მენინგოკოკური ბაქტერიული მენინგიტის ადრეული გართულებები მოიცავს გულყრას, მომატებულ ქალასშიდა წნევას, ვენურ თრომბოზს, საგიტალური სინუსის თრომბოზს და ჰიდროცეფალიას. მწვავე მენინგიტის დროს ჰერნიაციის რისკი დაახლოებით 6-8%-ია (80) (სურათი 1).



სურათი 1. ბაქტერიული მენინგიტის მწვავე ინტრაკრანიალური გართულებები

(Van den Beek et al. N Engl J Med 2006; 354:44-53)

ფულმინანტური მენინგოკოკემიის დროს, შეიძლება განვითარდეს მძიმე დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედედება, რაც იწვევს ჰემორაგიულ დიათეზს სისხლჩაქცევებით ფილტვებში, საშარდე გზებში და კუჭ-ნაწლავის ტრაქტში. იშვიათი გართულებებია სეფსისური ართრიტი, ჩირქოვანი პერიკარდიტი, ენდოფთალმიტი და პნევმონია. მოგვიანებითი გართულებებია ჰიდროცეფალია (შეიძლება გამოვლინდეს, როგორც სიარულის გაძნელება, მენტალური სტატუსის ცვლილება, შეუკავებლობა) და სმენის დაკარგვა (83).

პროგნოზი დამაკმაყოფილებელია, თუ პაციენტს არ აქვს ფოკალური ნევროლოგიური დეფიციტი და სტუპოროზული ან კომატოზური მდგომარეობა. მენინგოკოკური დაავადების პროგნოზი ცუდია, თუ მას თან ახლავს სეპტიცემიური კომპონენტი.

მიმდინარე წელს, FDA-ის მიერ დამტკიცებული იქნა პირველი ვაქცინა სეროჯგუფი B-ის მენინგოკოკის წინააღმდეგ. აქამდე არსებული ვაქცინები ფარავდნენ ხუთი ძირითადი სეროჯგუფიდან მხოლოდ ოთხს (A, C, W, Y) (84, 85).

მენინგოკოკური მენინგიტი ხასიათდება ძლიერი თავის ტკივილით, ცხელებით, გულისრევით, ღებინებით, ფოტოფობიით, კისრის კუნთების რიგიდობით. ლეთარგია ან ძილიანობა ხშირად აღინიშნება, სტუპორი და კომა ნაკლებად ხშირია. მენინგოკოკური ინფექციის უფრო მძიმე, მაგრამ ნაკლებად ხშირი ფორმაა მენინგოკოკური დაავადება, რომელსაც ახასიათებს ცირკულატორული კოლაფსი და ჰემორაგიული გამონაყარი (80).

მცირე ასაკის ბავშვებში მენინგოკოკური მენინგიტი შეიძლება გამოვლინდეს შემდეგნაირად: ქვემწვავე ინფექცია, რომელიც პროგრესირებს რამდენიმე დღის განმავლობაში; გაღიზიანებადობა, შეუპოვარი ღებინება, გულყრები, ჩვეულებრივ ფოკალური დასაწყისით, პირველი რამდენიმე დღის განმავლობაში; ვოტერჰაუს-

ფრიდრეკსენის სინდრომი - ახასიათებს დიდი პეტეჩიური სისხლჩაქცევები კანზე და ლორწოვან გარსებზე, ცხელება, სეპტიური შოკი და დისემინირებული სისხლძარღვშიდა შედედება; თანდათანობითი დასაწყისი - ახალშობილებში კისრის კუნთების რიგიდობა შეიძლება არ იყოს (80).

ბავშვებში, მაშინაც კი, როცა კონვულსიური ეპილეფსიური სტატუსი და ცხელება სახეზეა, მწვავე ბაქტერიული მენინგიტის სურათი შეიძლება, არ ჩანდეს.

თზტს-ის ლაბორატორიული კვლევა ჩვეულებრივ ადასტურებს მენინგიტის არსებობას. ტიპური გამოვლინებებია გაზრდილი წნევა, პოლიმორფულბირთვიანი ლეიკოციტების პლეოციტოზი (10-10 000 ლეიკოციტი/მკლ, უპირატესად ნეიტროფილები), გლუკოზის დაქვეითებული კონცენტრაცია (<45 მგ/დლ), გაზრდილი ცილა (>45 მგ/დლ) (86).

დამატებით შეიძლება გაკეთდეს თზტს-ის და სისხლის ბაქტერიოლოგიური კვლევა *N. meningitidis*-ის იდენტიფიცირებისათვის, ასევე ბაქტერიის ანტიბიოტიკომგრძობელობის განსაზღვრა; PCR - დიაგნოზის დადასტურებისათვის.

ნეიროვიზუალიზაცია: თუ ცნობიერება შეცვლილია, აღინიშნება მხედველობის ნერვის დისკის შეშუპება, ფოკალური ნევროლოგიური დეფიციტი და/ან ფოკალური ან გენერალიზებული გულყრები, საჭიროა ჩატარდეს კომპიუტერული ტომოგრაფია. მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას კონტრასტით უპირატესობა აქვს CT-თან შედარებით, რადგან MRI უკეთესად აჩვენებს თავის ტვინის შეშუპებას და იშემიას (86).

ელექტროენცეფალოგრაფია ხანდახან ეფექტურია იმ ელექტრული პატერნების შესწავლისათვის, რამაც შეიძლება პაციენტები განაწყოს გულყრებისადმი (80).

მძიმე ნევროლოგიური დაავადების და სიკვდილის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია ანტიბიოტიკოთერაპიის სწრაფი დაწყება, როგორც კი ბაქტერიულ მენინგიტზე ეჭვის მიტანა მოხდება. ანტიმიკრობული მკურნალობა რაც შეიძლება

სწრაფად უნდა დაიწყოს ლუმბალური პუნქციის შემდეგ. ემპირიული თერაპია უნდა მოიცავდეს დექსამეტაზონს, მესამე თაობის ცეფალოსპორინს (ცეფტრიაქსონი, ცეფოტაქსიმი), ვანკომიცინს, აციკლოვირს (საკითხი უნდა გადაწყდეს საწყისი თზტს შეფასების შემდეგ), დოქსიციკლინს (ენდემურ არეებში ტკიპის სეზონის შემთხვევაში).

დიაგნოსტიკის შემდგომი ფარმაკოთერაპია უნდა მოიცავდეს ცეფტრიაქსონს - არჩევის პრეპარატი მენინგოკოკური მენინგიტის და სეპტიცემიის შემთხვევაში. ასევე დექსამეტაზონს - მისი ეფექტურობა ეჭვქვეშაა მოზრდილებში ბაქტერიული მენინგიტის დროს (80) (ცხრილი 1).

ცხრილი 1. ემპირიული ანტიბიოტიკოთერაპიის რეკომენდაციები მოზრდილთა ბაქტერიული მენინგიტის დროს

ხელშემწყობი ფაქტორი	ხშირი ბაქტერიული პათოგენი	ანტიმიკრობული მკურნალობა
16-50 წელი	<i>Neisseria meningitidis</i> , <i>Streptococcus pneumoniae</i>	ვანკომიცინი და მესამე თაობის ცეფალოსპორინი
>50 წელი	<i>S. pneumoniae</i> , <i>N. meningitidis</i> , <i>Listeria Monocytogenes</i> , აერობული გრამ-უარყოფითი ჩხირები	ვანკომიცინი, მესამე თაობის ცეფალოსპორინი და ამპიცილინი
რისკ-ფაქტორის არსებობა	<i>S. pneumoniae</i> , <i>L. Monocytogenes</i> , <i>Haemophilus influenzae</i>	ვანკომიცინი, მესამე თაობის ცეფალოსპორინი და ამპიცილინი

(წყარო: Van den Beek et al. N Engl J Med 2006; 354:44-53)

მენინგოკოკური მენინგიტის თავიდან აცილება შესაძლებელია იმუნოპროფილაქტიკით, ან ქემოპროფილაქტიკით. რიფამპინი, ქინოლონები და ცეფტრიაქსონი არის ანტიმიკრობული საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ცხვირ-ხახიდან მენინგოკოკების ერადიკაციისათვის.

ამჟამად ხელმისაწვდომია ვაქცინაცია A, C, W და Y ტიპის მენინგოკოკების მიმართ. სეროჯგუფი B-ის საწინააღმდეგო ვაქცინა დამტკიცებული იქნა 2014 წლის ოქტომბერში.

Streptococcus pneumoniae*-ით გამოწვეული ცნს ინფექცია: *Streptococcus pneumoniae
მთელ მსოფლიოში ბაქტერიული მენინგიტის ერთ-ერთ ყველაზე ხშირ გამომწვევად ითვლება. მენინგიტი გვხვდება ყველა ასაკში, ინციდენტობის პიკი სიცოცხლის პირველი ორი წელია, განსაკუთრებით, 2-12 თვე (87). პნევმოკოკური მენინგიტის დროს სიკვდილობა 10-დან 60%-ია და უფრო ხშირია მოზრდილებში, ვიდრე ბავშვებში. მაგ. გერმანიაში, სიკვდილობა 7.5%-ია. მიუხედავად ადექვატური ანტიბიოტიკური მკურნალობისა, გადარჩენილთა დაახლოებით ნახევარს აქვს ხანგრძლივი ნარჩენი მოვლენები, როგორცაა კოგნიტური დარღვევები, გულყრები, სმენის დაკარგვა და სხვა უნარშეზღუდვა. ადრეული კლინიკური გართულებები, როგორცაა გაზრდილი ინტრაკრანიალური წნევა და გადარჩენილებში მოგვიანებითი გართულებები, როგორცაა ნეიროფსიქოლოგიური დარღვევები, მიუთითებს არაკეთილსაიმედო გამოსავალზე. ნეიროტოქსიურობის ზუსტი მექანიზმები ცნობილი არ არის. ცხადია, რომ *S. pneumoniae*-ის პათოგენეზში მნიშვნელოვანი როლი აქვს კაფსულურ პოლისაქარიდს და პნევმოკოკის ტოქსინებს; ასევე მავნე ფაქტორია მასპინძლის გადაჭარბებული იმუნური პასუხი, რომელიც პათოგენეზში მონაწილეობს. მართლაც, ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ კორტიკოსტეროიდების გამოყენება ზღუდავს გადაჭარბებულ იმუნოლოგიურ რეაქციას ცნს-ში (87).

დღესდღეობით არსებობს პნევმოკოკის საწინააღმდეგო ეფექტური ვაქცინა. საქართველოში 10-ვალენტური ვაქცინით (PCV10) იმუნიზაცია დაიწყო 2014 წლის ოქტომბრიდან. იცრებიან სამჯერადად, 2,3, და 12 თვის ბავშვები (88).

7.0 მასალა და მეთოდები

7.1. საკვლევი პოპულაცია

კვლევის დიზაინი შეირჩა იმის გათვალისწინებით, რომ გვინტერესებდა დღესდღეობით მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის შემთხვევები და მათი გამომწვევი პათოგენების სპექტრი. შესაბამისად, შეირჩა განივი კვეთის, ანუ ჯვარედინ-სექციური (cross-sectional) კვლევის დიზაინი. კვლევა ჩატარდა 2010 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის მაისამდე თბილისის ოთხ რეფერალურ კლინიკაში: 1) ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი (შემდგომში მოხსენიებული იქნება, როგორც ინფექციური საავადმყოფო); 2) პ. სარაჯიშვილის სახელობის კლინიკური ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის ინსტიტუტი (შემდგომში მოხსენიებული იქნება, როგორც ნევროლოგიის ინსტიტუტი); 3) იაშვილის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო (შემდგომში მოხსენიებული იქნება, როგორც იაშვილის კლინიკა; და 4) ს. ხეჩინაშვილი სახელობის საუნივერსიტეტო კლინიკის ნევროლოგიის დეპარტამენტი (შემდგომში მოხსენიებული იქნება, როგორც ხეჩინაშვილის კლინიკა).

ლაბორატორიული კვლევები ტარდებოდა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (დკეც) და ინფექციურ საავადმყოფოში. კვლევაში მონაწილეობდნენ უცხოელი კოლაბორატორები: აშშ სახმელეთო ძალების ინფექციურ დაავადებათა სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტი (US Army Medical Research Institute of Infectious Diseases – USAMRIID), აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრი (Centers for Disease Control – CDC), ვოლტერ რიდის სახმელეთო ძალების კვლევითი ინსტიტუტი (Walter Reed Army Institute of Research – WRAIR), აშშ საზღვაო ფლოტის სამედიცინო კვლევითი განყოფილება #3 (Naval Medical Research Unit-3 – NAMRU-3). კვლევა დაფინანსებული იყო ახლად აღმოცენებული ინფექციებზე ზედამხედველობის გლობალური ფონდის (GEIS) მიერ.

ინფექციურ საავადმყოფოში, კერძოდ, ნეიროინფექციების განყოფილებაში ხვდებოდა ყველა ასაკის პაციენტი. მოლოდინი გვექონდა, რომ ამ კლინიკიდან ყველაზე მეტი პაციენტი ჩაერთვებოდა. ვფიქრობდით, რომ, კერძოდ, ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევების უმრავლესობა, განსაკუთრებით, ზრდასრულებში, ამ კლინიკაში მოხვდებოდა.

იაშვილის კლინიკა, კერძოდ მისი ნევროლოგიური განყოფილება მკურნალობს მხოლოდ ბავშვებს და მთელი ქვეყნის მასშტაბით რეფერალური კლინიკაა. გარდა ამისა, ეს კლინიკა ჩართული იყო HiB-ის სიხშირის შესაფასებელ პროექტში, რომელიც ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ხორციელდებოდა.

ნევროლოგიის ინსტიტუტი და ხეჩინაშვილის კლინიკა იმ მოსაზრებით ჩაერთო კვლევაში, რომ მოსალოდნელი იყო, ამ კლინიკებში მოხვედრილიყო ვირუსული ენცეფალიტის შემთხვევები.

რადგან ეს იყო ე.წ. აღმომჩენი კვლევა (exploratory study), ნიმუშის ზომის (sample size) გამოთვლა არ გვიწარმოებია. კლინიკებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ველოდებოდით 200- მდე პაციენტის ჩართვას კვლევაში

კვლევაში მონაწილეობას სთავაზობდნენ პაციენტებს, რომლებიც აღნიშნულ კლინიკებში მოხვდებოდნენ ცნს ინფექციაზე საექვო დაავადებით.

პაციენტების კვლევაში ჩართვა ხორციელდებოდა შემდეგი ჩართვა-გამორიცხვის კრიტერიუმების გათვალისწინებით:

პაციენტები კვლევაში ჩასართავად შესაბამისი იყვნენ, თუ მათ ჰქონდათ:

- 1) ანამნეზში ან შემოსვლისას ცხელება ≥ 38 C-ზე;
- 2) 2 თვეზე მეტი ასაკი;

3) მენინგიტის და/ან ენცეფალიტის ერთი ან მეტი კლინიკური ნიშანი (თავის ძლიერი ტკივილი, ფოტოფობია, გულისრევა/ღებინება, მენინგეალური ნიშნები, პეტეჩიური/პურპურული გამონაყარი, შეცვლილი მენტალური სტატუსი, გულყრები და ლეთარგია);

4) კლინიკური ჩვენება ლუმბალურ პუნქციაზე. კვლევის მიზნით ლუმბალური პუნქცია არ კეთდებოდა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, ექიმი საჭიროდ ჩათვლიდა პუნქციის გაკეთებას, ასეთ პაციენტს სთავაზობდნენ კვლევაში მონაწილეობას.

გამორიცხვის კრიტერიუმები მოიცავდა შემდეგს:

1) ორ თვეზე ნაკლები ასაკის პაციენტები (ძირითადად ეთიკური მოსაზრების გამო - მათში სისხლის აღება სამეცნიერო კვლევის მიზნით არ მივიჩნიეთ მიზანშეწონილად, მით უმეტეს, რომ ამ ასაკობრივი ჯგუფის მონაწილეობა კვლევის მიზნის მისაღწევად აუცილებელი არ იყო);

2) პოსტ-ნეიროქირურგიული, ტრავმული, იმუნოკომპრომენტირებული პაციენტები. ამ ტიპის შემთხვევების გამორიცხვა მოხდა ჰოსპიტალური ინფექციების და იმუნოდეფიციტური მდგომარეობების თანმხლები ცნს ინფექციების გამოსარიცხად. ამით ჩვენ შევამცირეთ სავარაუდო გამომწვევების სპექტრი, რადგან კვლევის ბიუჯეტი მხოლოდ პათოგენების გარკვეულ ზღვრულ რაოდენობაზე ტესტირების საშუალებას იძლეოდა.

2) შემთხვევები, როცა პაციენტი ან მისი ლეგალური წამომადგენელი არ იყო თანახმა კვლევაში მონაწილეობაზე.

ექიმები თითოეულ კლინიკაში მიმოიხილავდნენ შემოსული პაციენტების ისტორიებს და ახდენდნენ მწვავე ნეიროინფექციის მქონე პაციენტების იდენტიფიკაციას.

პაციენტების მკურნალობა ტარდებოდა რუტინული კლინიკური პრაქტიკის მიხედვით და მასზე გავლენას არ ახდენდა კვლევა.

7.2 კვლევის ეთიკური მხარე

რადგან ამ კვლევას ჰქონდა აშშ ფედერალური უწყების დაფინანსება და კვლევაში მონაწილეობდნენ ამერიკელი კოლაბორატორები, კვლევის პროტოკოლი განიხილა და დაამტკიცა როგორც ქართული, ისე შესაბამისი აშშ დაწესებულებების ბიოეთიკის საბჭოებმა: საქართველოს დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (დკეც), აშშ სახმელეთო ძალების სამედიცინო კვლევითი ინსტიტუტი (USAMRIID), ვოლტერ რიდის სახმელეთო ძალების კვლევითი ინსტიტუტი (WRAIR), საზღვაო ფლოტის სამედიცინო კვლევითი განყოფილება-3 (NAMRU-3).

პაციენტი ან მისი ლეგალური წარმომადგენელი იძლეოდა წერილობით ინფორმირებულ თანხმობას კვლევაში ჩართვის წინ. ლეგალური წარმომადგენელი თანხმობას იძლეოდა იმ შემთხვევაში, თუ პაციენტის ცნობიერების დონე არ იყო ადექვატური. კვლევის პროტოკოლის მიხედვით, მას შემდეგ, რაც პაციენტი გონზე მოვიდოდა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გვქონდა ლეგალური წარმომადგენლის თანხმობა, ჩვენ პაციენტთან მაინც ვატარებდით გასაუბრებას და ვთხოვდით, ხელმოწერით დაედასტურებინა კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა. თუ

ცნობიერებაზე მოსული პაციენტი უარს განაცხადებდა კვლევაზე, ჩვენ ვალდებულება გვქონდა, რომ არანაირი კვლევასთან დაკავშირებული პროცედურა აღარ ჩაგვეტარებინა ამ პაციენტთან.

რაც შეეხება ბავშვებს, 5 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ინფორმირებულ თანხმობას ვიღებდით მხოლოდ ლეგალური წარმომადგენლისგან. 5-დან 17 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის გვქონდა ბავშვის თანხმობის ფორმა, სადაც ბავშვისთვის გასაგებ ენაზე იყო აღწერილი, რაში მდგომარეობდა კვლევა. ლეგალური წარმომადგენლის თანხმობასთან ერთად, 5 წლის და მეტი ასაკის ბავშვისთვის საჭირო იყო ბავშვის თანხმობაც. ასეთი იყო ამერიკული ბიოეთიკის საბჭოების მოთხოვნა (დანართი 1).

7.3 კვლევის პროცედურები

კვლევის პროცედურები მოიცავდა კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური კითხვარის შევსებას და ლაბორატორიული ნიმუშების აღებას.

დემოგრაფიული მონაცემების, რისკ ფაქტორების, კლინიკური მონაცემების და ეპიდემიოლოგიური ფაქტორების შესახებ ინფორმაცია შეგროვებული იქნა სტანდარტული კითხვარის საშუალებით კვლევაში მონაწილე ექიმების მიერ. მონაცემები სამედიცინო ისტორიის, პაციენტის რუტინული სამედიცინო მომსახურების ფარგლებში ჩატარებული გამოკვლევების და მკურნალობის შესახებ ასევე ამ კითხვარის საშუალებით შეგროვდა.

საქართველოში ლუმბალური პუნქცია სტანდარტული პრაქტიკაა ცნს ინფექციაზე საექვო შემთხვევებში. კვლევითი მიზნებისთვის, მონაწილეებს ვთხოვდით, რომ იმის

გარდა რაც საჭიროა რუტინული კვლევებისთვის (3-5 მლ), დათანხმებულიყვნენ დამატებით 1-3 მლ თზტს-ის აღებაზე. თზტს სასურველი იყო, აღებული ყოფილიყო ანტიბიოტიკებით მკურნალობის დაწყებამდე, პაციენტის მდგომარეობის და ექიმის მიერ დანიშნული მკურნალობის გათვალისწინებით. პაციენტების ცნობიერება ფასდებოდა გლაზგოს კომის სკალით (89). თავის ტვინში ჰემორაგიის ან ფოკალური დაზიანებების მქონე პაციენტებში შესაძლებლობისამებრ ტარდებოდა კომპიუტერული ტომოგრაფია ან მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა, მათი რუტინული სამედიცინო მომსახურების ფარგლებში.

ასევე, კვლევის მიზნებისათვის ხდებოდა სისხლის აღება. განსხვავებით პუნქციისგან, რომელიც კვლევის გამო არ ტარდებოდა, სისხლის აღება ვენიდან სპეციფიურად კვლევისთვის გამოსაყენებლად კეთდებოდა. სისხლის მწვავე ნიმუშის აღება ხდებოდა შემოსვლისას - 5 მლ-მდე მოცულობით (ბავშვებში არაუმეტეს 3 მლ), რეკონვალესცენტური ნიმუშის აღება ხდებოდა მწვავე ნიმუშიდან სულ ცოტა, 3 დღის შემდეგ. ჩვეულებრივ, მეორე ნიმუშს პაციენტის გაწერისას ვიღებდით, რაც დაახლოებით შემოსვლიდან 2 კვირაში ხდებოდა. სისხლის მესამე ნიმუშის აღებასაც ვცდილობდით შემოსვლიდან 4-6 კვირის შემდეგ, თუ პაციენტი დაბრუნდებოდა ნიმუშის ასაღებად. ქვემოთ მოცემულ სურათზე სქემატურად არის წარმოდგენილი კვლევასთან დაკავშირებული პროცედურები:

სურათი 2: კვლევის პროცედურები:

ჩართვა	<ul style="list-style-type: none">• ინფორმირებული თანხმობა• სტანდარტული კითხვარი• სისხლი - 5 მლ-მდე• თზტს - დამატებით 1-3 მლ
განმეორებითი შეფასება გაწერისას (ჩართვიდან 3 დღიდან 4 კვირამდე პერიოდი)	<ul style="list-style-type: none">• კითხვარის დასრულება• სისხლი - 5 მლ-მდე
განმეორებითი შეფასება გაწერიდან 4-6 კვირის შემდეგ	<ul style="list-style-type: none">• სისხლი - 5 მლ-მდე

7.4. თზტს ლაბორატორიული ტესტირება

თზტს ლაბორატორიული ტესტირების პანელი მოიცავდა უჯრედების რაოდენობრივ და დიფერენციალურ შეფასებას და ცილის დონის განსაზღვრას. სამედიცინო ისტორიაზე დაყრდნობით, კლინიკური გამოვლინება და თზტს პარამეტრები, ასევე კლინიკური დიაგნოზი დაისმებოდა მკურნალი ექიმების მიერ და შემთხვევა კლასიფიცირდებოდა, როგორც ბაქტერიული მენინგიტი, ვირუსული მენინგიტი, ტუბერკულოზური მენინგიტი, ან ვირუსული ენცეფალიტი (90).

ჩვენი კვლევის პროცესში, ტარდებოდა ერთიდაიგივე ლაბორატორიული ტესტები ყველა პაციენტზე, მიუხედავად კლინიკური დიაგნოზისა: კეთდებოდა თზტს

შეღებვა გრამის წესით; ერთი ალიქვოტი ითესებოდა შოკოლადიან აგარზე და ინკუბაცია ხდებოდა 37C-ზე CO₂-იან პირობებში 72 საათის განმავლობაში.

არაკომერციული PCR ტესტი ტარდებოდა HiB, *N. meningitides*, და *S. pneumoniae*-ის აღმოჩენის მიზნით. ეს ტესტი დამუშავებული და მოწოდებული იყო NAMRU-3-ის მიერ.

მულტიპლექს PCR ტესტი (Fast-Track Diagnostics (FTD) ვირუსული მენინგიტისთვის, ABI7500 და Rotor-Gene 6000) გამოყენებული იქნა HSV-1, HSV-2, ყბაყურას, ენტეროვირუსის, და VZV ვირუსების აღმოჩენის მიზნით. გამოყენებული იქნა MagNA სუფთა ავტომატური ექსტრაქტორი, რომელიც არის დახურული სისტემა, რათა შემცირებულიყო კონტამინაციის შანსი. თითოეული ტესტი მოიცავდა 30 ნიმუშს + 1 კონტროლი (HSC) + 1 (NTC) (წყალი). HSC უზრუნველყოფდა, რომ ექსტრაქცია სათანადოდ ჩატარებულიყო RNP გენის ტესტირებისას, ხოლო წყალი უზრუნველყოფდა, რომ არ ყოფილიყო კონტამინაცია ექსტრაქციის დროს. ბაქტერიული მყისიერი PCR იყო ერთკომპონენტური, სადაც თითოეული სამიზნე იყო გაკეთებული ცალკე PCR ფინჯანზე პრაიმერების კონტამინაციის ან შერევის გარეშე. PCR ტესტირებისთვის ნიმუშები გროვდებოდა; შედეგები მკურნალ ექიმებს მიეწოდებოდათ პერიოდულად, მაგრამ დაგვიანების გამო PCR ტესტების შედეგები გავლენას არ ახდენდა პაციენტის მკურნალობაზე.

EBV, TBE და WNV ვირუსებისთვის გამოყენებული იყო სეროლოგიური ტესტირება ამ პათოგენების სპეციფიკის გათვალისწინებით - PCR-ის ჩატარებას აზრი არ აქვს. სამივე ამ ვირუსზე IgM ELISA კეთდებოდა სისხლში, ხოლო TBE და WNV-ზე დამატებით კეთდებოდა IgM ELISA თზტს-ში. EBV-თვის გამოყენებული იქნა Diagnostic Automation-ის IgM ELISA დიაგნოსტიკური, TBE-თვის - Euroimmun-ის IgM

ELISA დიაგნოსტიკუმი, ხოლო WNV-თვის - Focus Diagnostics-ის IgM ELISA დიაგნოსტიკუმი.

PCR ტესტების კონფირმაციული ტესტირება ჩატარდა ამერიკულ ლაბორატორიაში - NAMRU-3-ში. ხოლო სეროლოგიური ტესტების - WRAIR-ის სპეციალისტების მიერ.

ლაბორატორიული კვლევების ნაწილი ტარდებოდა ინფექციურ საავადმყოფოში, ნაწილი კი დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში. ინფექციურ საავადმყოფოში გაკეთდა ბაქტერიოლოგია და PCR ტესტები, ხოლო დეკეც-ში - სეროლოგიური ტესტები.

ტუბერკულოზური მენინგიტის დამადასტურებელი ტესტირება არ ყოფილა კვლევის შემადგენელი ნაწილი. ტუბერკულოზურ მენინგიტზე საექვო ყველა შემთხვევა გადაიზავნა ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებების ეროვნულ ცენტრში.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულად არის წარმოდგენილი, თუ რა კვლევები ტარდებოდა და სად:

ცხრილი 2: კვლევის ფარგლებში ჩატარებული დიაგნოსტიკური ტესტები

პათოგენი	დიაგნოსტიკური ტესტები	სად კეთდებოდა ტესტი	სად კეთდებოდა კონფირმაცია
<i>N. meningitidis</i>	ბაქტერიოლოგია/PCR	ინფექციური საავადმყოფო (ბაქტერიოლოგია)	NAMRU-3
<i>S. pneumoniae</i>	ბაქტერიოლოგია/PCR	ინფექციური საავადმყოფო (ორივე)	NAMRU-3
<i>H. influenzae</i>	ბაქტერიოლოგია/PCR	ინფექციური საავადმყოფო (ბაქტერიოლოგია)	NAMRU-3
HSV-1	PCR	ინფექციური საავადმყოფო	NAMRU-3
HSV-2	PCR	ინფექციური საავადმყოფო	NAMRU-3
VZV	PCR	ინფექციური საავადმყოფო	NAMRU-3
TBE	თზტს ELISA	დკეც	WRAIR
WNV	თზტს ELISA	დკეც	WRAIR
EBV	შრატის ELISA	დკეც	WRAIR
WNV	შრატის ELISA	დკეც	WRAIR
TBE	შრატის ELISA	დკეც	WRAIR

7.5. მონაცემთა ბაზა და სტატისტიკური ანალიზი

კლინიკურ-ეპიდემიოლოგიური კითხვარით შეგროვილი მონაცემები შეყვანილი იქნა Epi Info 7 პროგრამაში შექმნილ მონაცემთა ბაზაში.

მონაცემთა ანალიზი დაიწყო აღწერილობითი სტატისტიკის გამოყენებით. კერძოდ, შეფასდა ცვლადების ცენტრალური ტენდენციის მაჩვენებლები (საშუალო, მედიანა, მოდა) და განაწილება (დიაპაზონი, სტანდარტული გადახრა). გამოყენებული იქნა უნივარიაციული და ბივარიაციული ანალიზი .

ინფერენციული სტატისტიკის ნაწილში გამოვიყენეთ ხი-კვადრატის ტესტი პროცენტების შესადარებლად, ხოლო მან-უიტნის U ტესტი, საშუალოების შესადარებლად. შანსების თანაფარდობა (OR) 95% საიმედოობით შეფასდა ასოციაციის განსაზღვრის მიზნით შერჩეულ კოვარიანტებსა და კლინიკურ დიაგნოზს შორის, და შემდეგ მოხდა შესწორება ასაკის, სქესის და კვლევის ადგილის მიხედვით ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზის საშუალებით. ყველა p-მაჩვენებელი იყო ორმხრივი და მნიშვნელოვნების დონე იყო დაყენებული 0.05-ზე (91). მთელი ანალიზი ჩატარდა Epi-Info ვერსია 7 და SPSS პროგრამის გამოყენებით.

8.0. შედეგები

8.1. დემოგრაფიული მონაცემები

კვლევაში სულ ჩაერთო 140 პაციენტი, აქედან სრული კლინიკური ინფორმაცია მიღებული იქნა 134 (96%) პაციენტიდან. პაციენტების დიდი უმრავლესობა ჩაერთო ინფექციური საავადმყოფოდან და იაშვილის კლინიკიდან. საშუალო ასაკი იყო 23.9 წელი და პაციენტების 58% იყვნენ 18 წელზე ნაკლები ასაკის ბავშვები. პაციენტების 51%-ზე მეტი იყვნენ მამაკაცები, 67% იყვნენ ურბანულ ზონაში მაცხოვრებლები, მათ შორის 40% - თბილისიდან (ცხრილი 3).

ცხრილი 3. პაციენტების დემოგრაფიული და ეპიდემიოლოგიური მახასიათებლები:

ცვლადი	რაოდენობა (%)
ასაკი (წლები), საშუალო	23.9 (22.8)
მამაკაცი	71 (53)
თბილისის მაცხოვრებელი	53 (40)
ცხოველებთან კონტაქტი	44 (33)
სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა	14 (10)
ტკიპის ნაკბენი	1 (0.7)
კოლოს ნაკბენი	25 (19)
მოგზაურობა საქართველოს გარეთ	1 (0.7)

კვლევაში მონაწილეებს შორის, 33%-ს აღნიშნებოდა კონტაქტი ცხოველებთან, ჩართვამდე ორი კვირით ადრე. კონკრეტულად, ეს ცხოველები იყო: ძაღლები (28%), ფრინველები (25%), კატები (16%), მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი (12%), ღორი (6%), ცხვარი/თხა (4%), და მღრღნელები (4%). სასოფლო-სამეურნეო აქტივობებთან დაკავშირებით, 10% პაციენტებისა აღნიშნავდა, რომ მონაწილეობა მიიღო მიწის დამუშავებაში, მოსავლის აღებაში, ბალახის მოჭრაში, და ა.შ. საქართველოს გარეთ მოგზაურობას, დაავადების დაწყებამდე 1 თვის განმავლობაში, აღნიშნავდა პაციენტების მცირე ნაწილი (<1%).

8.2. კლინიკური და ლაბორატორიული მონაცემები

პაციენტების 31% მანამდე ჰოსპიტალიზებული იყო სხვა კლინიკაში, ამავე დაავადების გამო. პაციენტების 33%-ზე მეტს საავადმყოფოში მოსვლამდე მიღებული ჰქონდა ანტიბიოტიკები, 30% შემოსვლამდე ნამყოფი იყო ექიმთან, ხოლო 15%-ს ჰქონდა თანმხლები დაავადება. ამასთანავე, 16% პაციენტებში აღნიშნებოდა სხვა ინფექციის სიმპტომები ცნს დაავადების განვითარებამდე ერთი თვით ადრე (43%-ს ამ პაციენტებისა ჰქონდა შუა ყურის ანთება). საავადმყოფოში შემოსვლისას, საშუალო ტემპერატურა იყო 38C (დიაპაზონი = 37.5-40C). პაციენტებს სიმპტომები ჰქონდათ საავადმყოფოში შემოსვლამდე საშუალოდ 4.4 დღის განმავლობაში (სტანდარტული გადახრა 6.3). ყველაზე ხშირი ნიშნები და სიმპტომები იყო ცხელება, თავის ტკივილი, გულისრევა/ღებინება, დაქვეითებული გუნება-განწყობა, და ნაკლებად გამოხატული იყო ისეთი სიმპტომები, როგორცაა გამონაყარი, გულყრები, მუცლის ტკივილი, დიარეა, სახსრების ტკივილი და კანის დაზიანებები (ცხრილი 4).


ცხრილი 4. კლინიკური სიმპტომების სიხშირე

ნიშნები/სიმპტომები	რაოდენობა(%)
ცხელება	138 (98)
თავის ტკივილი	128 (91)
გულისრევა/ღებინება	125 (90)
დაქვეითებული გუნება-განწყობა	114 (81)
კისრის კუნთების რიგიდობა	110 (79)
ტკივილი თვალების უკან	96 (69)
შემცივნება	82 (59)
ფოტოფობია	75 (54)
ღამით ოფლიანობა	60 (43)
ძილის დარღვევა	63 (45)
ხველა	28 (20)
პიროვნების ცვლილება	21 (15)
ყელის ტკივილი	20 (14)
გამონაყარი	10 (8)
გულყრა	10 (7)
მუცლის ტკივილი	8 (6)
კუნთების ტკივილი	7 (5)
სახსრების ტკივილი	7 (5)
დიარეა	5 (4)
გაურკვეველი სისხლდენა	0 (0)

იმ პაციენტების პროცენტული რაოდენობა, რომლებსაც ჩატარებული ჰქონდათ BCG, წითელა/წითურა/ყბაყურა (MMR), და ჩუტყვავილას ვაქცინები, შესაბამისად იყო 73%, 53% და 0%, შესაბამისად. მხოლოდ ერთ პაციენტს ახსოვდა, რომ ჩატარებული ჰქონდა HiB ვაქცინაცია, და ერთს მიღებული ჰქონდა *S. pneumonia*-ის საწინააღმდეგო ვაქცინა.

გლაზგოს კომის სკალის მიხედვით, სამი პაციენტი იყო ღრმა კომაში (<5) შემოსვლისას და შვიდ პაციენტს ჰქონდა გლაზგოს სკალით 6-დან 10 ქულამდე. კერნიგის და ბრუძინსკის ნიშნები აღინიშნებოდა პაციენტების 50% და 40%-ში შესაბამისად. შეცვლილი მენტალური სტატუსი (გაბრუება) აღინიშნებოდა პაციენტების 22%-ში. კრანიალური ნერვების პარეზი აღინიშნებოდა პაციენტთა 7%-ში, მათ შორის ყველაზე ხშირი იყო სახის ნერვის პერიფერიული სისუსტე (70%). სენსორული დეფიციტი იშვიათად აღინიშნებოდა (2%) და ფოკალური მოტორული დეფიციტი ფიქსირდებოდა პაციენტების 8%-ში. ქვემოთ წარმოდგენილია, თუ რა სიხშირით გვხვდებოდა ესა თუ ის სიმპტომი (სურათი 3):

სურათი 3: კვლევაში ჩართულ პაციენტებში კლინიკური სიმპტომების განაწილება



თზტს სუფთა იყო 81 (58%) პაციენტში და შემღვრეული - 45 (32%)-ში. თზტს ნიმუშებიდან ცხრა (7%) ნიმუში ჩაითვალა ტრავმული პუნქციის შედეგად მიღებულად, რადგან შერეული იყო დიდი რაოდენობით სისხლი. თზტს ვერ იქნა აღებული ხუთ პაციენტში. თზტს პარამეტრების საშუალო მაჩვენებელი ბაქტერიული მენინგიტის დროს იყო: ლეიკოციტები 1.530 უჯრედი/მმ³ (დიაპაზონი: 53-100.000 უჯრედი/მმ³), ნეიტროფილები 78% (20-95%), ლიმფოციტები 22% (დიაპაზონი: 5-80%), ცილა 66 მგ/დლ (დიაპაზონი: 0.17-660 მგ/დლ), და გლუკოზა 44 მგ/დლ (დიაპაზონი: 0-167 მგ/დლ). ეს და სხვა დანარჩენი თზტს პარამეტრები მოცემულია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5. თავ-ზურგტვინის სითხის მაჩვენებლები კლინიკურად დიაგნოსტირებული ცენტრალური ნერვული სისტემის ინფექციების მქონე პაციენტებში

თზტს პარამეტრი	ბაქტერიული მენინგიტი n=75	ვირუსული მენინგიტი n=39	ტუბერკულოზური მენინგიტი n=8	ენცეფალიტი n=12
ლეიკოციტები (უჯრედი/მმ3)	1,530 (53 -100,000)	71 (12 - 450)	465 (65 - 3500)	29 (7-133)
ნეიტროფილები (%)	78 (20 - 95)	57 (0 -71)	62 (0 - 68)	46 (30-58)
ლიმფოციტები (%)	22 (5 - 80)	42 (12 - 100)	39.5 (32 - 100)	54 (42-70)
ცილა (მგ/დლ)	66 (0.17- 660)	11.6 (0 - 66)	66 (33 - 660)	33 (0.03-330)
გლუკოზა (მგ/დლ)	44 (0 - 167)	69 (31 - 158)	39 (22 - 145.8)	71 (37 – 147)

კომპიუტერული ტომოგრაფიის შედეგები პათოლოგიური იყო 35 პაციენტიდან 11 (31%)-ში, ხოლო მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის შედეგები პათოლოგიური იყო და 31-დან 14 (45%) პაციენტში. პათოლოგიური შედეგები მოიცავდა სინუსიტს, ეთმოიდალურ ოსტეომას, მასტოიდიტს, თავის ტვინის მრავლობით აბსცესს, და სუბარაქნოიდულ ცისტას.

პაციენტების 62%-ზე მეტს საავადმყოფოში ყოფნისას ჩაუტარდა ანტიბიოტიკებით მკურნალობა, ყველაზე ხშირად ცეფტრიაქსონით და ვანკომიცინით.

8.3. კლინიკური დიაგნოზი

კლინიკურ დიაგნოზზე დაყრდნობით, პაციენტების 75 (56%) მკურნალი ექიმების მიერ კლასიფიცირებული იყო, როგორც ბაქტერიული მენინგიტი, 39 (29%), როგორც ვირუსული მენინგიტი, 8 (6%), როგორც ტუბერკულოზური მენინგიტი და 12 (9%), როგორც ენცეფალიტი (ცხრილი 5). ოთხ პაციენტში დასმული იყო განმეორებითი ბაქტერიული მენინგიტის დიაგნოზი.

ბაქტერიული მენინგიტის, ვირუსული მენინგიტის და ტუბერკულოზური მენინგიტის დიაგნოზებს შორის არ იყო განსხვავება სქესის, ასაკის, თბილისში მაცხოვრებლობის, ურბანულ ზონაში ცხოვრების, ცხოველებთან კონტაქტის, ნევროლოგიური სიმპტომების განვითარებამდე ერთი თვის განმავლობაში სხვა დაავადების არსებობის მხრივ. ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევებში საშუალო ასაკი (28.8 წელი) და დაავადების ხანგრძლივობა (4.8 დღე) უფრო დიდი იყო, სხვა დიაგნოზებთან შედარებით, თუმცა ენცეფალიტის შემთხვევებში უფრო ხშირად აღინიშნებოდა ჩართულობა სოფლის მეურნეობის აქტივობაში (33%).

ბაქტერიული მენინგიტის ან ტუბერკულოზური მენინგიტის მქონე პაციენტებს გაცილებით უფრო ხშირად აღენიშნებოდათ კერნიგის ნიშანი, შემცივნება და ძილის დარღვევები, ვირუსული მენინგიტის და ენცეფალიტის დიაგნოზებთან შედარებით (ცხრილი 6).

ცხრილი 6. კვლევის სუბიექტების მახასიათებლები, კლინიკური დიაგნოზის

მაჩვენებელი	ბაქტერიული მენინგიტი (n=75)	ვირუსული მენინგიტი (n=39)	ტუბერკულოზური მენინგიტი (n=8)	ენცეფალიტი (n=12)	P-მაჩვენებელი
ასაკი, საშუალო (SD)	28.8 (24.8)	13.5 (16.8)	40.4 (19.6)	21.5 (15.7)	0.004
მამაკაცი	39 (52)	19 (50)	5 (62)	8 (67)	0.717
თბილისში მაცხოვრებელი	29 (39)	17 (44)	4 (50)	3 (25)	0.633
ურბანული მაცხოვრებელი	52 (69)	28 (72)	4 (50)	4 (33)	0.057
კონტაქტი ცხოველებთან	21 (28)	14 (36)	3 (37)	6 (50)	0.450
სასოფლო-სამეურნეო აქტივობა	6 (8)	2 (5)	2 (25)	4 (33)	0.017
დაავადების ხანგრძლივობა (დღეები), საშუალო (SD)	4.8 (7.8)	2.4 (2.2)	3.6 (2.1)	8.2 (4.8)	<0.001
ბოლო თვეში სხვა ინფექცია	16 (21)	2 (5)	0 (0)	3 (25)	0.067
ჰოსპიტალიზაცია ბოლო თვის განმავლობაში	27 (36)	6 (15)	4 (50)	5 (42)	0.064
ჰოსპიტალიზაციის დღეები, საშუალო (SD)	14.5 (6.2)	9.3 (4.1)	11.7 (8.5)	17.3 (12.3)	<0.001
კერნიგის ნიშანი	45 (60)	14 (37)	6 (75)	2 (17)	0.005
ბრუძინსკის ნიშანი	31 (41)	17 (46)	4 (50)	2 (17)	0.310
შეცვლილი მენტალური სტატუსი	21 (28)	3 (8)	2 (25)	4 (33)	0.090
მძიმე ან საშუალო დონის შრომისუნარობა	10 (14)	1 (3)	1 (12)	2 (17)	0.289
მოტორული დეფიციტი	3 (4)	3 (8)	0 (0)	5 (45)	<0.001
შემცივნება	50 (70)	23 (60)	4 (50)	2 (18)	0.009
პიროვნების ცვლილება	17 (24)	1 (3)	1 (12)	2 (18)	0.040
ბილის დარღვევა	42 (59)	10 (26)	4 (50)	3 (27)	0.006
კრანიალური ნერვების დამბლა	2 (3)	2 (5)	2 (25)	4 (36)	<0.001

მიხედვით

ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად მეტი იყო ბაქტერიული მენინგიტის და ენცეფალიტის შემთხვევებში, ვიდრე ვირუსული და ტუბერკულოზური მენინგიტის შემთხვევებში (ტუბერკულოზური მენინგიტის დიაგნოზის დასმისას პაციენტის გადაყვანა ხდებოდა ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში და იქ გრძელდებოდა მკურნალობა). პიროვნული ცვლილებები გაცილებით უფრო ხშირი იყო ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევებში, რასაც სიხშირით მოყვებოდა ენცეფალიტის და ტუბერკულოზური მენინგიტის შემთხვევები. თზტს შემღვრეული იყო ბაქტერიული მენინგიტის მქონე პაციენტების 58%-ში (n = 43) და ვირუსული მენინგიტის შემთხვევების 3%-ში (n = 1), სუფთა იყო ენცეფალიტის და ტუბერკულოზური მენინგიტის ყველა შემთხვევაში. ვირუსული და ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევათა უმრავლესობაში საავადმყოფოდან გაწერისას აღინიშნებოდა სრული გამოჯანმრთელება, ხოლო ენცეფალიტის და ტუბერკულოზური მენინგიტის დიაგნოზების 60%-ში პაციენტებმა კლინიკა დატოვეს გაუმჯობესებულ მდგომარეობაში, გარკვეული ნარჩენი მოვლენებით. ბაქტერიული მენინგიტის დროს ჰოსპიტალიზაციის საშუალო ხანგრძლივობა იყო 22 დღე (დიაპაზონი: 3-152 დღე); ვირუსული მენინგიტისთვის - 9.5 დღე (დიაპაზონი: 2-43 დღე), ხოლო ენცეფალიტისთვის - 10 დღე (დიაპაზონი: 3-22 დღე). ტუბერკულოზის შემთხვევების პროსპექტული შეფასება ვერ მოხერხდა.

ბაქტერიული მენინგიტის მქონე ხუთ პაციენტს აღინიშნებოდა პეტეჩიური გამონაყარი. VZV-ასოცირებული ენცეფალიტის მქონე ერთ პაციენტში აღინიშნა პაპულური გამონაყარი. ერთ 12 წლის პაციენტში, სადაც ენცეფალიტის დიაგნოზი დაისვა, ანამნეზში აღინიშნებოდა ტკიპის ნაკბენი. *S. pneumoniae*-ზე დადებითი 25 შემთხვევიდან (PCR-ით), 19 პაციენტში აღინიშნა სრული გამოჯანმრთელება (76%), ოთხი გაეწერა გარკვეული ნარჩენი მოვლენებით (16%); ერთი პაციენტი, 74 წლის მამაკაცი, რომელსაც აღინიშნებოდა თანმხლები ქრონიკული დაავადებები, მოკვდა. ეს იყო ერთადერთი ლეტალური შემთხვევა კვლევაში. გამოსავალი უცნობი იყო 5.

pneumoniae-ის ერთ შემთხვევაში. *N. meningitidis*-ის ექვსი PCR-დადებითი შემთხვევიდან, 5 (83%)-ს აღენიშნებოდა სრული გამოჯანმრთელება და ერთი (17%) გაეწერა გარკვეული რეზიდუალური მოვლენებით. HiB-ის ერთი PCR-დადებითი შემთხვევა გაეწერა რეზიდუალური სიმპტომებით.

ბაქტერიულ მენინგიტთან ასოცირებული რისკ-ფაქტორები, ვირუსულ მენინგიტთან შედარებით იყო: ასაკი (OR თითოეულ წელზე = 1.04, 95% CI=1.01 – 1.07), დაავადების ხანგრძლივობა (OR = 1.21, 95% CI=1.02-1.44), ჰოსპიტალიზაცია გასულ თვეში სხვა დაავადებასთან დაკავშირებით (OR=4.10, 95% CI = 1.28-13.19), ძილის დარღვევები (OR=4.04, 95% CI = 1.58-10.30), და კერნიგის ნიშანი (OR = 4.04, 95% CI = 1.20-13.61).

8.4. PCR და სეროლოგიური კვლევების შედეგები

ცხრილი 7 გვიჩვენებს ლაბორატორიული შედეგების განაწილებას თითოეულ კლინიკურ ჯგუფში.

ცხრილი 7. ბაქტერიული მენინგიტის, ვირუსული მენინგიტის, TB მენინგიტის და ენცეფალიტის დიაგნოზის მქონე პაციენტების ლაბორატორიული შედეგები.

ლაბორატორიული შედეგი	ბაქტერიული მენინგიტი n=75	ვირუსული მენინგიტი n=39	ტუბერკულოზური მენინგიტი n=8	ენცეფალიტი n=12
<i>S. pneumoniae</i> *	5	0	0	0
<i>S. pneumoniae</i> **	20	1	3	0
<i>N. meningitidis</i>	5	0	1	0
<i>H. influenzae</i>	1	0	0	0
ენტეროვირუსი	10	16	0	0
ვარიცელა ზოსტერის ვირუსი	0	3	0	1
მარტივი ჰერპესის ვირუსი ტიპი 1	1	0	0	1
მარტივი ჰერპესის ვირუსი ტიპი 2	0	0	0	0
EBV	0	0	0	2

* თზტს ბაქტერიოლოგიით
** არაკომერციული PCR ტესტით

ბაქტერიული ან ვირუსული ეტიოლოგიური ფაქტორი გამოვლინდა პაციენტების 51%-ში. თზტს-დან გამოიყო *S. pneumoniae*-ის 5 კულტურა. HiB და *N. meningitidis*-ის არცერთი კულტურა არ გამოყოფილა.

არაკომერციულ PCR ანალიზზე დაყრდნობით, 25 პაციენტი იყო დადებითი *S. pneumoniae*-ზე, ექვსი - *N. meningitidis*-ზე და ერთი - HiB-ზე. HiB-ის შემთხვევა ასევე დადებითი იყო *S. pneumoniae*-ზე.

ვირუსული მულტიპლექს PCR ანალიზმა აჩვენა, რომ 26 პაციენტი დაინფიცირებული იყო ენტეროვირუსით, ოთხი - VZV-ით და ორი - HSV-1-ით. არცერთი პაციენტი არ იყო დადებითი ყბაყურაზე ან HSV-2-ზე. ერთ შემთხვევაში, დადებითი იყო როგორც ენტეროვირუსი, ისეა *S. pneumoniae*. *S. pneumoniae* და ენტეროვირუსები ბაქტერიული და ვირუსული მენინგიტების შემთხვევების ყველაზე ხშირი მიზეზები იყო.

8.4.1. სეროლოგიური კვლევები

EBV სეროლოგიური ტესტირება ჩატარდა შრატში IgM ELISA მეთოდით. საწყისი ტესტირებისას დადებითი აღმოჩნდა 6 ნიმუში. მათ შორის იყო მენინგოენცეფალიტის ერთი შემთხვევა, რომელიც უარყოფითი იყო ჩვენს მიერ გამოკვლეულ ყველა სხვა ვირუსზე და ბაქტერიაზე. ამასთან, დადებითი იყო როგორც მწვავე, ისე რეკონვალესცენტური შრატის ნიმუში. EBV-დადებითი აღმოჩნდა ენცეფალიტის მეორე შემთხვევაც, სადაც IgM მხოლოდ მწვავე შრატში დაფიქსირდა. ოთხ შემთხვევაში, EBV-დადებითი შემთხვევები ასევე დადებითი იყო PCR-ით ენტეროვირუსზე. PCR ტესტის უპირატესობის და ენტეროვირუსის უშუალოდ ლიქვორში აღმოჩენის გამო, ეს შემთხვევები ენტეროვირუსის შემთხვევებად ჩაითვა. ანუ, საბოლოოდ დადებითად ჩაითვა EBV-ის ორი შემთხვევა.

ყველა ნიმუში ELISA კვლევით უარყოფითი იყო WNV-ზე, როგორც შრატში, ისე თზტს-ში.

რაც შეეხება ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსს (TBE), დადებითი IgM ELISA დაფიქსირდა სამ შემთხვევაში შრატში. იგივე პაციენტების თზტს-ში ანტისხეულები არ აღმოჩნდა. ამ სამიდან საბოლოოდ მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება, რომ ვივარაუდოთ ტკიპისმიერი ენცეფალიტით გამოწვეული ინფექცია. დანამდვილებით დიაგნოზის დასმას დამატებითი ტესტები სჭირდება, რაც ჩვენი კვლევის ფარგლებში არ გაკეთებულა.

ცხრილი 8. სეროლოგიური ტესტების შედეგები:

ELISA ტესტი	საწყისი დადებითი შედეგი	საბოლოო დადებითი შედეგი
EBV ELISA	6	2
WNV ELISA	0	0
TBE ELISA	3	1

9.0 განხილვა

ჩვენს მიერ ჩატარებული ჰოსპიტალური კვლევა გვაწვდის ინფორმაციას საქართველოში მწვავე ცნს ინფექციების გამომწვევი ძირითადი პათოგენების შესახებ ფებრილურ ჰოსპიტალიზებულ პაციენტებში.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო საკვლევი პათოგენების ჩამონათვალის სწორად განსაზღვრა: მწვავე მენინგიტის და ენცეფალიტის პოტენციურ გამომწვევთა სია ძალიან გრძელია და ყველა ამ პათოგენის შესწავლა ერთი კვლევის ფარგლებში ვერ მოხდებოდა. ამიტომ, უმნიშვნელოვანესი იყო, სწორად განგვესაზღვრა, ერთის მხრივ, საკვლევი პაციენტების პოპულაცია და მეორეს მხრივ, საკვლევი პათოგენების ჩამონათვალი. მაგალითად, ნეიროტრავმისშემდგომი ან პოსტნეიროქირურგიული ინფექციის გამომწვევთა სპექტრი აბსოლუტურად განსხვავდება აივ ინფექციის ან სხვა იმუნოდეფიციტის მქონე პაციენტებში განვითარებული ნეიროინფექციის გამომწვევთა სპექტრისგან, რომელიც თავის მხრივ, განსხვავდება იმუნოკომპეტენტურ პაციენტში განვითარებული ნეიროინფექციის გამომწვევთა სპექტრისგან. ჩვენი კვლევის საგანი იყო ზოგადი პოპულაცია, იმუნოკომპეტენტური პაციენტები, რომლებშიც ნეიროინფექცია იყო სპონტანურად განვითარებული და არა ნეიროტრავმის ან ნეიროქირურგიული ოპერაციის შემდგომი პერიოდის ფონზე განვითარებული.

ჩვენი მონაცემები მიუთითებს, რომ საქართველოში მენინგიტის გამომწვევი ყველაზე ხშირი ბაქტერიული პათოგენი არის *S. pneumoniae* და რომ ყველაზე ხშირი ვირუსული პათოგენები არიან ენტეროვირუსები. ის, რომ ბაქტერიული კულტურა დადებითი იყო მხოლოდ ხუთ შემთხვევაში (3.6%), შეიძლება გამოწვეული იყოს ანტიბიოტიკების მიღებით ჰოსპიტალიზაციამდე.

ეს მონაცემები მიუთითებს ცნს ინფექციების დროს მოლეკულური დიაგნოსტიკის გამოყენების უპირატესობაზე. მოლეკულური დიაგნოსტიკის მეთოდების გამოყენებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პათოგენების დეტექცია ამ კვლევაში, მაგრამ გამომწვევი აგენტები მხოლოდ პაციენტთა ნახევარში (51%) დადგინდა. ეს დაბალი პროცენტი სხვა კვლევების შედეგების მსგავსია (12,92) და სავარაუდოდ აიხსნება ანტიბიოტიკების გამოყენებით, ვირუსის ელიმინაციით და შესაბამისად, დეტექტირებადი ნუკლეინის მჟავის არარსებობით, ან იმ პათოგენებით გამოწვეული ინფექციით, რომელზეც ნიმუშები არ გამოკვლეულა.

კვლევის ერთ-ერთი ამოცანა იყო კლინიკური დიაგნოზის შედარება ლაბორატორიულად პათოგენის იდენტიფიკაციასთან. ჩვენ დავაფიქსირეთ მნიშვნელოვანი განსხვავება კლინიკურ დიაგნოზსა და ლაბორატორიულ იდენტიფიკაციას შორის. განსაკუთრებით ეს ეხება ვირუსული მენინგიტის შემთხვევებს. კერძოდ, ენტეროვირუსული მენინგიტის ათი შემთხვევა შეცდომით იყო კლასიფიცირებული, როგორც ბაქტერიული მენინგიტი, რამაც ანტიბიოტიკებით არასაჭირო მკურნალობა გამოიწვია. ეს მნიშვნელოვანი შედეგი ხაზს უსვამს მოლეკულური დიაგნოსტიკის მნიშვნელობას ამ ტიპის პაციენტებში, რადგან ვირუსული მენინგიტის დიაგნოზის ზუსტად დასმა თავიდან აგვაცილებს ანტიბიოტიკების არასაჭირო გამოყენებას და საავადმყოფოს რესურსების სწორ განაწილებას უზრუნველყოფს. თუმცა, აქვე უნდა იქვას, რომ გაურკვეველ შემთხვევებში, როცა არ არის გამორიცხული ბაქტერიული მენინგიტი, ანტიბაქტერიული მკურნალობის დროული დაწყების სარგებელი სრულიად გადაწონის არასაჭირო ანტიბიოტიკოთერაპიით მიყენებულ ზიანს.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის ფარგლებში ლაბორატორიული ტესტები ტარდებოდა მოგვიანებით და ამდენად, გავლენას ვერ ახდენდა მკურნალობის ტაქტიკაზე. თუმცა, ლაბორატორიულად დადასტურებული პნევმოკოკური მენინგიტის ყველა

შემთხვევაში, გარდა ერთისა, მკურნალობა დაწყებული იყო მესამე თაობის ცეფალოსპორინით - ცეფტრიაქსონით, როგორც არის რეკომენდებული. შემთხვევათა უმრავლესობაში (81%) ცეფტრიაქსონთან ერთად დანიშნული იყო ვანკომიცინი - ასევე არსებული რეკომენდაციების შესაბამისად, იმ შემთხვევების გათვალისწინებით, როცა პნევმოკოკი ცეფალოსპორინების მიმართ რეზისტენტულია. ერთი შემთხვევა იყო გამონაკლისი - პაციენტის კლინიკური დიაგნოზი იყო ვირუსული მენინგიტი, ხოლო ჩვენს მიერ ჩატარებული PCR კვლევით დადგინდა პნევმოკოკური ინფექცია.

ლაბორატორიულად დადასტურებული მენინგოკოკური ინფექციის ყველა შემთხვევაში დანიშნული იყო მესამე თაობის ცეფალოსპორინი - ანუ მკურნალობა სწორად იყო შერჩეული.

ეტიოლოგიური დიაგნოზის დადგენა უმნიშვნელოვანესია სწორი მკურნალობისთვის და იდეალურ შემთხვევაში ოპტიმალური მკურნალობა სწორედ ეტიოლოგიურ ფაქტორზე უნდა იყოს მორგებული. თუმცა, საქართველოში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ამის შესაძლებლობა შეზღუდულია. ასეთ პირობებში გვიწევს სუბ-ოპტიმალურ მკურნალობაზე არჩევანის გაკეთება, რაც იმას გულისხმობს, რომ მკურნალობა უნდა მოიცავდეს სავარაუდო გამომწვევთა სპექტრს. ასეთი სუბ-ოპტიმალური ემპირიული თერაპია გაურკვეველი ეტიოლოგიის მწვავე ნეიროინფექციის დროს უნდა მოიცავდეს მესამე თაობის ცეფალოსპორინს (ცეფტრიაქსონი, ცეფოტაქსიმი), ვანკომიცინს, აციკლოვირს (საკითხი უნდა გადაწყდეს საწყისი თზტს შეფასების შემდეგ) და დოქსიციკლინსაც ენდემურ არეებში ტკიპის სეზონის შემთხვევაში.

ჩვენ შევეცადეთ, პაციენტთა ჩვენს მიერ გამოკვლეულ კოჰორტაში, კერძოდ, ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევებში, დაგვედგინა, იყო თუ არა ასოციაცია დაავადების დაწყებიდან დიაგნოზის დასმამდე პერიოდსა და დაავადების

მიმდინარეობის სიმძიმეს შორის. ჩვენი მოლოდინი, თავისთავად, იყო, რომ დაგვიანებული დიაგნოსტიკა დაავადების უფრო მძიმე მიმდინარეობასა და ნარჩენი მოვლენების მაღალ მაჩვენებელთან იქნებოდა დაკავშირებული. თუმცა, ასეთი ასოციაცია ჩვენს შემთხვევაში არ გამოვლინდა, თუ არ ჩავთვლით განსაკუთრებულად დაგვიანებულ შემთხვევებს. ერთ შემთხვევაში მენინგიტის სიმპტომების განვითარებიდან კლინიკური დიაგნოზის დასმამდე იყო 21 დღე და ამ პაციენტში დაისვა თანმხლები აივ-ინფექციის დიაგნოზი. მეორე შემთხვევაში, სიმპტომების განვითარებიდან კლინიკური დიაგნოზის დასმამდე იყო 25 დღე. ოთხდღიანი მკურნალობის შემდეგ გაუმჯობესება არ აღინიშნა, რის შემდეგაც პაციენტი გადაყვანილი იქნა სხვა კლინიკაში. სხვა მხრივ, გამოსავლის ან საავადმყოფოში დაყოვნების თვალსაზრისით, განსხვავება დიაგნოზის დასმამდე 1 დღესა და 10 დღეს შორის არ დაფიქსირდა. ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევაში, დაავადების დაწყებიდან დიაგნოზის დასმამდე პერიოდი მოიცავდა საშუალოდ, 5 დღეს, ვირუსული მენინგიტის შემთხვევაში - 2.5 დღეს, ტუბერკულოზური მენინგიტის შემთხვევაში - 3.5 დღეს, ხოლო 8 დღეს - ენცეფალიტის შემთხვევაში.

ჩვენი კვლევა ხაზს უსვამს ბაქტერიული და ვირუსული მენინგიტისა და ენცეფალიტისათვის სტანდარტული კლინიკური შემთხვევის განსაზღვრების შემუშავების საჭიროებას, რომელიც იქნება მტკიცებებზე დაფუძნებული და კორელაციაში იქნება პათოლოგიურ დიაგნოზთან. ასეთი შემთხვევის განსაზღვრა შესაძლებელს გახდის სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევების ერთმანეთთან შედარებას და ხელს შეუწყობს უფრო ზუსტ კლინიკურ ინტერპრეტაციას/დიაგნოსტიკას, შესაბამისად - უკეთეს ემპირიულ მკურნალობას.

ჩვენი კვლევის კიდევ ერთი ამოცანა იყო HiB ვაქცინაციის გავლენის შესწავლა საქართველოში ცნს ინფექციების ეტიოლოგიაზე. კვლევის დაწყებამდე ათი თვით ადრე, საქართველოში HiB ვაქცინაციის კამპანია დაიწყო. ჩვენი პაციენტების

მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი იყო ვაქცინირებული HiB-ით. კვლევაში დაფიქსირდა HiB მენინგიტის მხოლოდ ერთი შემთხვევა. ამდენად, ვერ შევძელით ადეკვატურად შეგვეფასებინა ეს საკითხი.

S. pneumoniae დაფიქსირდა, როგორც წამყვანი ბაქტერიული პათოგენი - 25 დადებითი შემთხვევა ბაქტერიული მენინგიტის კლინიკურად დიაგნოსტირებული 70 შემთხვევიდან (36%); საქართველოში სულ ცოტა ხნის წინ, ფაქტიურად ამ კვლევის დამთავრებიდან მოკლე დროში, დაიწყო *S. pneumoniae*-ს საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანია, რომლის ეფექტურობის შესაფასებლად შესაძლებელია ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის, როგორც ვაქცინაციამდე არსებული მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის გამოყენება. HiB და *S. pneumoniae*-ის საწინააღმდეგო ვაქცინების შორეული შედეგების შესაფასებლად დამატებითი კვლევებია საჭირო.

გამომწვევის დადგენა მოხერხდა ენცეფალიტის მხოლოდ ოთხ შემთხვევაში (ერთი იყო VZV შემთხვევა, მეორე - HSV-1 და ორი EBV შემთხვევა). ეს შედეგი შესაბამისობაშია ინფექციური გენეზის ენცეფალიტის სხვა ეტიოლოგიურ კვლევებთან, სადაც მრავალ პათოგენზე ტესტირების მიუხედავად, გამომწვევი აგენტის იდენტიფიკაცია მოხდა შემთხვევათა 30-დან 50%-ში (93). ენცეფალიტის დიაგნოსტიკაში მოლეკულური მეთოდების გამოყენება ეფექტურია, მაგრამ შემთხვევათა უმრავლესობაში დიაგნოზის დასმა მაინც ვერ ხდება. აქ ჩანს უკეთესი დიაგნოსტიკური სტრატეგიების არსებობის აუცილებლობა; ასევე ენცეფალიტის არაინფექციური მიზეზების შეფასების უკეთესი მექანიზმების აუცილებლობა, როგორცაა იმუნური ენცეფალიტები, ასევე ახალი, აქამდე უცნობი პათოგენები, როგორც ენცეფალიტის მიზეზები.

ნეიროვიზუალიზაცია ჩატარებული იყო პაციენტების დაახლოებით ნახევარში. ერთ შემთხვევაში ნეიროვიზუალიზაციით დადგინდა, რომ სავარაუდო მენინგიტი იყო

სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევის შემთხვევა. როგორც ცნობილია, ნეიროიმიჯინგი მიზანშეწონილია იმის დასადგენად, რამდენად უსაფრთხოა ლუმბალური პუნქციის ჩატარება და ასევე, იმის გასარკვევად, მიმდინარე ინფექცია მხოლოდ გარსების დაზიანებაა, თუ ენცეფალიტიც ახლავს თან. მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ რომ ამის გარდა, ნეიროვიზუალიზაცია საშუალებას იძლევა, მოვახდინოთ დიფერენცირება, ენცეფალიტით გამოწვეულ კეროვან დაზიანებასა და დისცირკულაციით გამოწვეულ კეროვან დაზიანებას შორის. ანუ ნეიროვიზუალიზაცია გვეხმარება, დავადგინოთ, ეს არის მენინგიტი, მენინგოენცეფალიტი, თუ იშემია მენინგიტთან ერთად. ეს დიფერენციაცია უმნიშვნელოვანესია შემდგომი მკურნალობის თვალსაზრისით.

მართალია, ჩვენს კვლევაში არ ხდებოდა ტუბერკულოზზე გამოკვლევა, მაგრამ გამოვლინდა ტუბერკულოზური მენინგიტის 8 შემთხვევა. ის ფაქტი, რომ ეს შემთხვევები თავიდანვე არ დიაგნოსტირდა, როგორც ტუბერკულოზური მენინგიტი, მიუთითებს იმაზე, რომ არასრულყოფილია დიაგნოზური მენეჯმენტი, რის შედეგადაც გვიანდება სპეციფიური მკურნალობის დაწყება და ასევე სანამ დიაგნოზი დადგინდება, იქმნება სხვა პაციენტების ინფიცირების საშიშროება. სავარაუდოდ, დაგვიანებული დიაგნოზის მიზეზია ის, რომ გადაჭარბებით ფასდებოდა პოლინუკლეარების ხარჯზე ციტოზის არსებობა. ასევე ის, რომ ჰიპოგლიკორაქია, რაც ტუბერკულოზური მენინგიტისთვის პათოგნომურად მიიჩნევა, ასევე დამახასიათებელია ბაქტერიული მენინგიტისთვის. ამ დიაგნოზური სირთულეები გამო განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოლეკულური დიაგნოსტიკის მეთოდების დანერგვა.

ბაქტერიული მენინგიტის რისკ-ფაქტორებს შორის საყურადღებოა ანამნეზში თანმხლები ინფექციების, სინუსიტის და ოტიტის არსებობა. ჩვენს კოჰორტაში, 4 პაციენტში იყო ოტიტის, ხოლო ორში - სინუსიტის შემთხვევები. ოტიტის 4

შემთხვევიდან ორში PCR-ით პნევმოკოკური მენინგიტი დადასტურდა. ასევე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოთხ პაციენტში აღინიშნა განმეორებითი ბაქტერიული მენინგიტის შემთხვევები. მორფოლოგიურ მასალაზე და ნეიროვიზუალიზაციით ნაჩვენებია, რომ განსაკუთრებით, განმეორებითი ბაქტერიული მენინგიტის მიზეზი ხშირად არის ტრავმის შედეგად გარსების მთლიანობის დარღვევა, რაც დასაწყისში კლინიკურად შეიძლება არ გამოვლინდეს. ამით იქმნება ინფექციის (უფრო ხშირად პნევმოკოკური ინფექციისთვის) შემავალი კარიბჭე (97). ჩვენს მიერ აღწერილი განმეორებითი მენინგიტის ოთხი შემთხვევიდან ორი იყო პნევმოკოკური ინფექციის შემთხვევა, თუმცა ანამნეზში თავის ტრავმას პაციენტები არ აღნიშნავდნენ.

ინფექციურ საავადმყოფოში პაციენტების 40% მიდიოდა სხვა, მათ შორის რეგიონული სამედიცინო დაწესებულების გავლით, ხოლო იაშვილის კლინიკაში მხოლოდ 18% იყო ასეთი და დანარჩენი პაციენტები პირდაპირ იაშვილის კლინიკას მიმართავდნენ. საავადმყოფოში დაყოვნება ორივე კლინიკაში დაახლოებით ერთნაირი იყო - 15-16 დღე. ნეიროინფექციების წარმატებული მართვა ოპტიმალურ დონეზე შესაძლებელია მხოლოდ გუნდური მენეჯმენტის პრინციპის დაცვით, სადაც კომპეტენციები განაწილდება ინფექციონისტს, ნევროლოგს და მიკრობიოლოგს შორის. საჭიროა მათ შორის რეფერალური თანამშრომლობა.

კვლევაში მონაწილე პაციენტების კოჰორტა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ შესწავლილიყო ზოგადინფლამაციური რეაქციის თავისებურება სხვადასხვა პათოგენით გამოწვეული ნეიროინფექციის დროს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ვითარდება ინფექცია პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანებში. როდესაც სტრუბტოკოკული ინფექციის კერა არსებობს, მაგ. შუა ყურის ანთების სახით, აქ გასაგებია, მაგრამ განსაკუთრებით, მწვავე ენცეფალიტის შემთხვევებში, რომლებიც პრაქტიკულად ჯანმრთელ, იმუნოკომპეტენტურ ზრდასრულ ადამიანში ვითარდება, და ჩვენ გვქონდა ასეთი

შემთხვევები, რა ფაქტორები ახდენს გავლენას ნეიროინფექციის განვითარებაზე? მასპინძლისა და პათოგენის ურთიერთქმედების რა თავისებურებები იწვევს იმას, რომ კონკრეტულ ადამიანს ნეიროინფექცია უვითარდება, სხვას კი არა. არსებობს თუ არა იმუნური სისტემის მარკერები, რომელთა განსაზღვრა შესაძლებელს გახდის მძიმე ნეიროინფექციების მიმართ წინასწარგანწყობის შეფასებას. კვლევის ჯგუფს აღნიშნული საკითხების კვლევის დიდი ინტერესი აქვს, რასაც მოცემულ კვლევაში ვერ შევისწავლიდით, მაგრამ გვინდა, რომ ეს ბაზისური კვლევა იყოს პირველი ეტაპი, რასაც ჩვენი მომავალი მუშაობა დაეფუძნება ნეიროინფექციების სფეროში.

ჩვენს კვლევაში იყო კო-ინფექციის რამდენიმე სავარაუდო შემთხვევა.

დღესდღეობით, არ არის აღწერილი HiB და *S. pneumoniae*-ის მენინგიტის კოინფექციის შემთხვევები. თუმცა, მძიმე პნევმონია, გამოწვეული ამ ორი პათოგენის კოინფექციით აღწერილია აკუზავა-ის მიერ (94). მოლეკულური დიაგნოსტიკის გამოყენების გაზრდამ შეიძლება უფრო გაახშიროს ასეთი კოინფექციის შემთხვევები ცნს ინფექციის დროს, თუმცა უნდა აღინშნოს, რომ ვერ გამოვრიცხავთ ჩვენს კვლევაში ცრუ უარყოფითი შედეგის არსებობას ერთ ან ორივე პათოგენზე. ასევე გვქონდა ცრუ დადებითი შემთხვევები EBV სეროლოგიაში - 4 შემთხვევაში. ცნს ინფექციის მქონე პაციენტებში კოინფექციის საკითხის შესწავლა უნდა მოხდეს სხვა კვლევაში პაციენტთა უფრო დიდ კოჰორტაზე, შედეგების შესაბამისი ვალიდაციით.

კარგად არის ცნობილი, რომ *S. pneumoniae*-ით გამოწვეული მენინგიტი შეიძლება ასოცირებული იყოს მძიმე რეზიდუალურ მოვლენებთან. განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ასეთი რეზიდუალური მოვლენების სიხშირე 31%-მდეა (95). ამ კვლევაში, 25 პაციენტიდან, რომლებშიც ლაბორატორიულად პნევმოკოკური მენინგიტი დადასტურდა, სამის გარდა ყველა (78%) სრულად გამოჯანმრთელებული გაეწერა. აღნიშნული შედეგი საყურადღებო იყო ჩვენი ამერიკელი კოლაბორატორის, ნევროლოგის, აშშ დაავადებათა კონტროლის ცენტრის ნეიროეპიდემიოლოგიის

ექსპერტის, ჯეიმს სეივარისთვისაც, რომელსაც უდიდესი გამოცდილება აქვს ნეიროინფექციების შესწავლის დარგში. ამ შედეგის პოტენციური ახსნა შეიძლება იყოს ანტიბიოტიკების ადრეული და ფართო გამოყენება (განსაკუთრებით, ანტიბიოტიკები ჰემატოენცეფალური ბარიერის კარგი პენეტრაციით) და ცნს-ში ბაქტერიების დაბალი კონცენტრაციის დეტექცია მოლეკულური მეთოდის გამოყენებით (ანუ შედარებით მსუბუქი ინფექცია). ამ ჰიპოთეზების ტესტირებისთვის საჭიროა ინფექციის სიმბიომის შედარება კულტურა-დადებით და PCR-დადებით შემთხვევებს შორის ბაქტერიული მენინგიტის დროს უფრო დიდ კოჰორტულ კვლევებში.

თუ ვეცდებით, რომ ჩვენი კვლევის შედეგების მიხედვით ვიმსჯელოთ, საქართველოში ნეიროინფექციების გამომწვევი პათოგენების სპექტრი გარკვეულწილად შეესაბამება ევროპის ქვეყნებში (98) და თურქეთში (99) არსებულ სიტუაციას და კიდევ უფრო დაუახლოვდება მას შემდეგ, რაც ვაქცინაციის საშუალებით კონტროლს დაექვემდებარება პნევმოკოკური ინფექცია და დაიკლებს ამ პათოგენით გამოწვეული შემთხვევების რაოდენობა. ერთი მკვეთრად განმასხვავებელი ნიშანი არის ჩვენს ქვეყანაში ტუბერკულოზური მენინგიტის პრობლემა, რაც არ არის დამახასიათებელი ევროპის რეგიონისთვის, არამედ აზიისა და სუბ-საჰარული აფრიკის ქვეყნებში გვხვდება (100). რაც შეეხება ვირუსულ ნეიროინფექციებს, ენტეროვირუსები ნეიროინფექციის ყველაზე ხშირი მიზეზებია მთელ მსოფლიოში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევროპის ბევრ ქვეყანაში (ავსტრია, ჩეხეთი, სლოვენია, შემთხვევები ფიქსირდება თურქეთში, და ა.შ.) ენდემურია ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსი და ბორელია. ეს პათოგენები ჩვენს ქვეყანაში დამატებით შესწავლას საჭიროებს.

10.0 კვლევის ნაკლოვანი მხარეები

ჩვენს კვლევას აქვს გარკვეული ნაკლოვანებები:

1. კვლევაში მიღებული მონაცემების განზოგადება ვერ მოხდება მთლიან პოპულაციაზე. თუმცა, რადგან კვლევა მოიცავს რეფერალურ კლინიკებს საქართველოში (გარდა ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრისა, სადაც ტუბერკულოზზე საექვო პაციენტები იგზავნებიან), ჩვენ შეიძლება გავაკეთოთ ზოგადი დასკვნები ქვეყანაში ცნს ინფექციებთან დაკავშირებით; სხვა გეოგრაფიულ არეალზე შედეგების ექსტრაპოლირებას ვერ მოვახდენთ (96).
2. კვლევაში გამოკვლეული პათოგენების რაოდენობა შეზღუდული იყო და შესაძლოა, ჩვენს შემთხვევებში ცნს ინფექცია სხვა პათოგენებით ყოფილიყო გამოწვეული, რაზედაც ტესტირება არ ჩატარებულა (მაგ. წითელას ვირუსი).
3. ტუბერკულოზური მენინგიტი მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში. ჩვენს კვლევაში მხოლოდ არაპირდაპირ ხდებოდა ტუბერკულოზური მენინგიტის შემთხვევებზე ინფორმაციის მოპოვება. კვლევაში არ მონაწილეობდა ტუბერკულოზის და ფილტვის დაავადებების ეროვნული ცენტრი და კვლევის ფარგლებში ტუბერკულოზზე არ ვიკვლევდით.

11.0 დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები

1. ჩვენ მიერ წარმოებული კვლევა ქმნის საქართველოში ცნს-ის ინფექციების ეტიოლოგიის და სიხშირის სურათს, რაც შეიძლება საფუძველს წარმოადგენდეს ახალი დიაგნოსტიკური პლატფორმების შემოტანისთვის, ეფექტური სამკურნალო საშუალებებისა და ვაქცინების დანერგვისათვის საქართველოს ტერიტორიაზე. აღნიშნული კვლევა პილოტურ ხასიათს ატარებს სამხრეთ კავკასიაში და მისი შედეგების გათვალისწინება მეზობელი ქვეყნების ეპიდემიოლოგიურ მონიტორინგში ხელს შეუწყობს მთლიანად რეგიონში მწვავე ნეიროინფექციების გავრცელებისა და ავადობის ლიმიტირებას. კვლევის შედეგების მიხედვით რეალურად წარმოჩნდა როგორც პრევენციული, ისე დიაგნოზურ-თერაპიული მენეჯმენტის გაუმჯობესების გზები, რამაც პირობები შექმნა ზოგადად ნეიროინფექციური პათოლოგიის პარადიგმის განახლებული მოდელის შემუშავებისთვის.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ლტოლვილი მოსახლეობის ქვეყნისშიდა მიგრაციისა და ეთნიკური იზოლატების (აზერბაიჯანური, სომხური, რუსული, ბერძნული, ვაინახური ეთნიკური პოპულაციები) გახსნის ფაქტორი და ახალი იზოლატების ფორმირება (ოსური, აფხაზური ეთნოკონცენტრაცია) განაპირობებს ინფექციური პათოლოგიის ტრანსკავკასიურ სამხარეო მასშტაბში განხილვას. აღნიშნული გვეკარნახობს მწვავე ნეიროინფექციებთან ბრძოლის რეგიონულად ინტეგრირებული პროგრამის შემუშავებას. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ურბანულ პოპულაციაში ენტეროვირუსული და მენინგოკოკური მენინგიტის რამდენიმე სეზონური აფეთქება ემთხვევა ქვეყნისშიდა ეთნომიგრაციული პროცესის ინტენსიფიკაციას, რაც სავალდებულოს ხდის „მიგრაციულ კვანძებში“ პრიორიტეტული იმუნიზაციის ინტენსიფიკაციას.

3. საქართველოში მიმდინარე პერიოდში ბაქტერიული მენინგიტების მკურნალობის ემპირიული მიდგომა კვლავაც ინარჩუნებს თერაპიულ სტრატეგიაში შერჩევის

მეთოდის მნიშვნელობას - ის ჯერჯერობით წარმოადგენს ე.წ. თერაპიულ ფანჯარაში მოქმედ უნიკალურ თერაპიულ საშუალებას. ისევე, როგორც მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში, ჩვენში არსებული სადიაგნოზო-ლაბორატორიული კონიუნქტურა ვერ უზრუნველყოფს მწვავე ნეიროინფექციების აგრესიული ეტიოტროპულ მკურნალობას „თერაპიული ფანჯრის“ ფარგლებში.

4. მწვავე ნეიროინფექციების კლინიკურ-ფუნქციური გამოსავლის შედეგების რეტროსპექტულმა კორელაციურმა ანალიზმა გვაჩვენა, რომ ემპირიულად განსაზღვრული ანტიმიკრობული სამკურნალო კომპლექსი 81%-ში აღმოჩნდა ეტიოტროპული და იგი კატამნეზური შედეგების მიხედვით შედარებადია ურგენტულად დიაგნოსტირებულ, ინფექციურ აგენტზე ორიენტირებულ, მსოფლიო ლიტერატურაში მითითებული სამკურნალო შედეგების მაჩვენებლებთან.

5. კვლევის მიმდინარეობის პერიოდში (ოქტომბერი, 2010 - მაისი, 2012), ბაქტერიულ მენინგიტის კონკრეტულ შემთხვევებში, ანტიმიკრობული თერაპიის რეჟიმის კორექცია ემპირიული თერაპიის ეტიოტროპულზე ტრანსფორმირებით უშედეგო, ან განუხორციელებელი რჩებოდა გამომწვევი აგენტის ურგენტული იდენტიფიცირების ლაბორატორიული უზრუნველყოფის შეზღუდვის გამო. აღნიშნულის აღმოფხვრა საქართველოში მიმდინარე პერიოდში მიღწევადია ნეიროინფექციების მიმართ ემპირიული მკურნალობის პოტენციალის გაზრდით, ალგორითმის სრულყოფის გზით.

6. კვლევის მონაცემებით, ბაქტერიული მენინგიტის ყველაზე ხშირ გამომწვევად საქართველოში ფიგურირებს *S. pneumoniae*. 2014 წლიდან საქართველოში დაიწყო *S. pneumoniae*-ის საწინააღმდეგო იმუნიზაცია. მოსალოდნელია, რომ მსოფლიო პრეცედენტების ანალოგიურად, ამ პათოგენით გამოწვეული მენინგიტის ხვედრითი წილი უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად დაიკლებს. წინამდებარე კვლევის

ფარგლებში მენინგიტის განვითარებაში პნევმოკოკური ეტიოლოგია მოლეკულური მეთოდით დადასტურდა 5-ჯერ უფრო ხშირად, ვიდრე ბაქტერიოლოგიურად, რაც სარწმუნოს ხდის მოლეკულური დიაგნოსტიკის ეფექტურობას.

7. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მასალაში სეროლოგიური გამოკვლევით დასავლეთ ნილოსის ვირუსზე (WNV) დადებითი შემთხვევები არ გამოვლინდა, საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, საარქივო მასალის მონაცემებით აღნიშნული ვირუსის არსებობა, ისევე, როგორც ამიერკავკასიის გეოგრაფიული ზონის მიმდებარე ქვეყნებში ამ ვირუსის ცირკულირების შესახებ არსებული ინფორმაცია მოითხოვს სადიაგნოზო ძიების მობილიზებას. მნიშვნელოვანია კვლევების გაგრძელება ცნს ინფექციების არბოვირუსულ ეტიოლოგიებზე პაციენტთა უფრო დიდ პოპულაციაში. საქართველოში მართლაც მოსალოდნელია ტკიპისმიერი ენცეფალიტის ვირუსის არსებობა. ასევე, ჩვენს კვლევაში არ შეფასებულა და საქართველოში მნიშვნელოვანია კვლევა B. burgdorferi-ზე - ლაიმის დაავადების გამომწვევეზე. თუმცა, ევროპაში გავრცელებული ქვეტიპი უფრო მეტად პერიფერიული ნერვული სისტემის დაზიანებას იწვევს, ვიდრე მენინგიტსა და ენცეფალიტს.

8. მწვავე ნეიროინფექციების მკურნალობაში ჩართული ჰოსპიტალური ბაზების პროფილირებისა და პროფესიული უზრუნველყოფის შეფასებით დადგინდა, რომ ნეიროინფექციების წარმატებული მართვა ოპტიმალურ დონეზე შესაძლებელია მხოლოდ გუნდური მენეჯმენტის პრინციპის დაცვით, სადაც კომპეტენციები კოორდინირებულად განაწილდება ინფექციონისტს, ნევროლოგს და მიკრობიოლოგს შორის, რეფერალური თანამშრომლობის პირობებში.

